ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ეკა მიშველაძეს სპეცსამსახურები უსმენენ?

მის განცხადებაზე გამოძიება უნდა დაიწყოს



გვ.2

ხუთშაბათი, 10 სექტემბერი, 2015 1212 (6832) აფცბ5 №) სტსჰბ

# მამულიჩა ციხიდან 15.000 ლარად გამოუშვეს



გვ.7



## ვის გამოაქვს საიდუმლო ინფორმაცია სამინისტროებიდან

გვ.3

## ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ბრუნდება



გვ.2

ვალერი გელბახიანი: „ყოფილი პრემიერი არჩევნებამდე 6 თვით ადრე პოლიტიკაში დაბრუნდება“



პარტია ქართული ოცნება“ კოალიციას ტოვებს

## ვახტანგ ძაბირაძე: მაჟორიტარები ადრე რაიონებს ყიდულობდნენ, ახლა პარტიას იყიდიან“



გვ.4

ძალიან მინდა, რომ ამ ხელისუფლებას ხელი არაფერზე წაუცდეს და ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩაატაროს.



ISSN 1987-9385

## ნანა დევდარიანი: ქართული ოცნება“ საფუძვლიანად გადახალისდება“

გვ.5

კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# ივანიშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

## პარტია „ქართული ოცნება“ კოალიციას ტოვებს

შორენა მარსაგიშვილი

**ვინ ითხოვს ივანიშვილისაგან პოლიტიკაში ოფიციალურად დაბრუნებას, ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი, რას უნდა შეეგუონ რესპუბლიკელები? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი ესაუბრება.**





## ვალერი გელბახიანი: „ყოფილი პრემიერი არჩევნებამდე 6 თვით ადრე პოლიტიკაში დაბრუნდება“

***— თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის თქმით, მისი ნება რომ იყოს, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში დააბრუნებდა. თქვენი აზრით, რატომ გაუჩნდა ამის სურვილი ხიდაშელს?***

— თინა ხიდაშელმა სცადა იმის გაჟღერება, რომ შეიძლება ეს მოხდეს და ეს მისი სურვილი იყოს, თუმცა ეს არ არის მისი სურვილი. მან სასურველად გამოაცხადა ის, რის შესახებაც აქვს მას ინფორმაცია.

***— რა ინფორმაცია აქვს ხიდაშელს?***

— მისთვის ცნობილი გახდა ის, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს და ამიტომ გააკეთა ასეთი განცხადება.

***— ივანიშვილმა რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში დაბრუნება? წასვლისას მან თქვა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ ნახავს, რომ ქვეყანაში ცუდად მიდის საქმე. ნაპრემიერალი თვლის, რომ მთავრობა კარგად მუშაობს.***

— საქმეც ისაა, რომ ის საკუთარი სურვილით არ ბრუნდება პოლიტიკაშიო. ის, უბრალოდ, იძულებულია, ეს ნაბიჯი გადადგას.

***— რა ან ვინ აიძულებს ამ ნაბიჯის გადადგმას?***

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციის სახით აღარ მიიღებს მონაწილეობას. ის არჩევნებზე როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, ისე იქნება წარმოდგენილი.

***— კოალიციაში შემავალი პარტიები რას იზამენ, პარტია „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანდებიან?***

— კოალიციაში შემავალი პარტიებიდან გარკვეული პიროვნებები შესაძლოა გაწევრიანდნენ „ქართულ ოცნებაში“. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ დამოუკიდებლად მონაწილეობა უკვე გადაწყვეტილია და ახლა იმაზე მსჯელობენ, ვინ იქნება მათი საარჩევნო სიის პირველი ნომერი.

***— ვინ მოიაზრება პირველ ნომრად?***

— ამაზე მიდის პოლიტიკური ანალიზი. დასახელებული იქნა ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურაც, მაგრამ მალევე გამოირიცხა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი თანამდებობა უკავია, არ არის ლიდერ-შიპი. ის არაა ქარიზმატული ფიგურა, რომელიც ელექტორატის ყურადღებას მიიქცევს, რომ არჩევანი მასზე გაკეთდეს. ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა და ამის გამო ხალხი, ღარიბაშვილის, როგორც მთავრობის მეთაურის მიმართ, უკმაყოფილებას გამოხატავს. ის ამომრჩეველს ვერც რაიმე სიახლეს დაჰპირდება. ამის რესურსი მხოლოდ ერთ ადამიანს გააჩნია და ის ბიძინა ივანიშვილია. აი, ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც მას პოლიტიკაში დაბრუნებისკენ უბიძგებს.

მისი დაბრუნების მეორე მიზეზი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები არიან. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ მათ გაემიჯნება, ეს პარტიები ყოფილ პრემიერთან და მის გუნდთან ჰარმონიულ ურთიერთობაში ვეღარ იქნებიან.

***— ჰარმონიულ ურთიერთობაში ვეღარ ყოფნაში რას გულისხმობთ, ივანიშვილს დაუწყებენ ლანძღვას?***

— ისინი დაიწყებენ დღევანდელი მთავრობის წარუმატებლობაზე საუბარს და ივანიშვილის კრიტიკაც მოუწევთ. ამას ემთხვევა დასავლეთში გაკეთებული განცხადებები. იქ უკვე ძალიან აქტიურად მიუთითებენ საქართველოში არსებულ არაფორმალურ მმართველობაზე, რომელიც, მათი აზრით, დემოკრატიისთვის მისაღები არაა. ეს გზავნილები შემთხვევითი არ არის.

მთავრობის წარუმატებლობის გამო პრემიერ-მინისტრზე მეტად, ექსპრემიერს საყვედურობენ. ივანიშვილი იძულებულია, პასუხი გასცეს ამ ყველაფერს. პასუხის გაცემა მას ერთ შემთხვევაში შეუძლია მხოლოდ.

***— ეს ერთი შემთხვევა პოლიტიკაში დაბრუნებაა?***

— ის იძულებულია, პოლიტიკაში დაბრუნდეს, რათა ამ ბრალდებებს ოფიციალურად გასცეს პასუხი. უნდა თუ არა, მას მაინც მოუწევს დაბრუნება. მან კარგად იცის ისიც, რომ ძალიან მალე მისი ყოფილი მოკავშირეები მისი მტრები გახდებიან. დაიწყება მის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა და თუ თავს არ დაიცავს, ეს ბრძოლა მისთვის შესაძლოა მძიმე შედეგებით დასრულდეს.

***— ზემოთ აღნიშნეთ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომრის შერჩევა მიმდინარეობსო. რაკი ღარიბაშვილი გამოირიცხა, პირველი ივანიშვილი ხომ არ იქნება? მასზე რეიტინგულს პარტია მაინც ვერავის იპოვის.***

— არაფერი არაა გამორიცხული, თუმცა საარჩევნო სიაში შესვლის გარეშეც შეუძლია მას პარტიის ლიდერობა, ასეთი შემთხვევები პოლიტიკაში ხშირია. არჩევნებამდე 6 თვით ადრე მას უპრობლემოდ შეუძლია რესპუბლიკელებისგან დაკომპლექტებული მთავრობის შეცვლა. მოიყვანს ახალ ხალხს და თავად იქნება პრემიერი.

***— თქვენ კოალიციის დაშლაზე ისაუბრეთ. რა რეაქცია ექნებათ ამაზე მასში შემავალ სუბიექტებს?***

— არანაირი რეაქცია აღარ ექნებათ, ისინი ამ ამბავს უკვე შეგუებული არიან. „ქართული ოცნების“ მიღმა დარჩენას ამ პარტიაში შემავალი ხალხის დიდი ნაწილიც კარგად გრძნობს. დეპუტატების დიდი ნაწილი პარტიის მიღმა დარჩება. „ქართულ ოცნებაში“ დიდი წმენდა იქნება. გუნდის განახლების გარეშე ახალი სიტყვის თქმა იქნება ბუტაფორიული.

## ზაქარია ქუცნაშვილი: თოქ-შოუების არსებობა ხელისუფლების ინტერესებშია“



პარლამენტის ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ წევრის, ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, პოლიტიკური თოქ-შოუების არსებობა საქართველოს ხელისუფლების ინტერესებშია, რადგან ,,ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა მათ მიერ გაკეთებული საქმეების წარმოჩინების ნაკლებობაა.

— მე ამას ვერ დავაბრალებდი ხელისუფლებას იმ მიზეზით, რომ ინტერესი თოქ-შოუების ხელისუფლებას აქვს თავისი გაკეთებული საქმეების წარმოჩენის მიზნით. მთავარი პრობლემა, რაც დღეს ,,ქართულ ოცნებას“ გვაქვს, ეს არის გაკეთებული საქმეების წარმოჩინების პრობლემა. ამიტომ თოქ-შოუების არსებობა, ბუნებრივია, არის ხელისუფლების ინტერესებში, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

მედიანიუსი

## ეკა მიშველაძეს სპეცსამსახურები უსმენენ?

### მის განცხადებაზე გამოძიება უნდა დაიწყოს



კამპანიაში ,,ეს შენ გეხება — ისევ გვისმენენ“ ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები სამართალდამცავ ორგანოებს ჟურნალისტ ეკა მიშველაძის საჯარო განცხადების საფუძველზე გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებისკენ მოუწოდებენ და აცხადებენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყანაში ჟურნალისტური საქმიანობისა და ოპოზიციური პოლიტიკური საქმიანობის გამო მოქალაქეების თვალთვალსა და მათზე განხორციელებულ ზეწოლაზე ხელისუფლებას დაეკისრება.

— 8 სექტემბერს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ სტუმრობისას საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტმა, ეკა მიშველაძემ, მასზე განხორციელებული თვალთვალის შესახებ განაცხადა.

ეკა მიშველაძესთან დაკავშირებულ შემთხვევაში კონტექსტს ამძიმებს ის გარემოებაც, რომ საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტთან ერთად, თვალთვალი, სავარაუდოდ, ხორციელდებოდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერზეც.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტებზე ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ეჭვი გაჩნდა. 2014 წლის მაისში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში აღმოაჩინეს ფარული ვიდეო აპარატურა. სამწუხაროდ, დღემდე არ არის ცნობილი ინფორმაცია ამ საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, რაც ამ მიმართულებით სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტურ საქმიანობაზე მიუთითებს. კამპანია „ეს შენ გეხება — ისევ გვისმენენ“ სამართალდამცავ ორგანოებს ეკა მიშველაძის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდებს, — ნათქვამია არასამთავრობოების განცხადებაში, რომელსაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ავრცელებს.

◆ ◆ ◆

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ ჟურნალისტ ეკა მიშველაძის განცხადებას ეხმიანება, რომ „შესაბამისმა სამსახურებმა იცოდნენ“ მასსა და ალექსი პეტრიაშვილს შორის არსებული პირადი ურთიერთობის შესახებ.

როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის განცხადებაშია ნათქვამი, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით, ხოლო პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება დასჯადია სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

— მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტმა გადაცემაში არ ისაუბრა კონკრეტულ გარემოებებზე, ინსპექტორს მიაჩნია, რომ პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის შესახებ ასეთ საჯარო განცხადებებს აუცილებლად უნდა მოჰყვეს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სათანადო რეაგირება.

თავის მხრივ, ინსპექტორის აპარატი მზად არის სამართლებრივი კონსულტაცია გაუწიოს ნებისმიერ მოქალაქეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე და კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს რეაგირება, — ნათქვამია განცხადებაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი 2013 წლიდან ფუნქციონირებს და მისი მიზანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფა.

2015 წლის 31 მარტიდან ინსპექტორის ფუნქციებს დაემატა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე ზედამხედველობის ფუნქცია.

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ვის გამოაქვს საიდუმლო ინფორმაცია სამინისტროებიდან

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „პრესცენტრის თანამშრომლები ნაციონალებთან თანამშრომლობენ“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალურ მოძრაობას ყველა სამინისტროში რომ თავისი ხალხი ჰყავს, ეს საყოველთაოდ აღიარებული ამბავია. ამ ხალხის დახმარებით მათთვის ბევრი საიდუმლო ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. ამ მხრივ მათ განსაკუთრებულ დახმარებას სამინისტროების პრესცენტრების თანამშრომლებიც უწევენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აღშფოთებულია პრესცენტრებში ნაციონალებთან დაახლოებული პირების დანიშვნით.

— პრესცენტრს, შესაძლოა, ვიღაც ზერელედ უყურებს, არადა, ის სამინისტროებში ერთ-ერთი საკვანძო რგოლია, სადაც თავს იყრის ძალიან ბევრი, მათ შორის საიდუმლო ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, ძალიან უცნაურია, როცა სხვადასხვა უწყებების პრესცენტრების ხელმძღვანელებად ნაციონალების ღია მხარდამჭერები ინიშნებიან, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში მჟავანაძე.

მისი თქმით, ამ მხრივ იდეალური სიტუაცია არც აქამდე იყო, მაგრამ ბოლო თვეებში ამან სისტემატიური სახე მიიღო.

— მე პიროვნებებს პრინციპულად არ დავასახელებ, მხოლოდ იმას მივანიშნებთ, რომ ბოლო თვეებში განხორციელებულ დანიშვნებზე მაქვს საუბარი. პრესცენტრებში ისეთ ხალხს ასაქმებენ, რომლებიც ან თავად არიან ნაციონალებთან დაახლოებული პირები, ან მათ მიერ კონტროლირებად მედიასაშუალებებში თუ სატელიტ არასამთავრობოებში საქმიანობდნენ. მართლა ვერ ვხვდები, რა მიზანს ემსახურება ეს, — აღნიშნავს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე.

მისთვის განსაკუთრებით ის არის მიუღებელი, რომ ზოგიერთი სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელი დღემდე მისტირის ნაციონალურ მოძრაობას.

— მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან გასულია 70 წელი, აბა, გაბედოს ვინმემ გერმანიაში და ფაშისტურ რეჟიმზე დადებითი თქვას, ასეთ ადამიანს არათუ სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელად არ დანიშნავდნენ, არამედ ყველა სახელმწიფო უწყებაში მიუხურავდნენ კარს. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა. ზოგიერთი პრესცენტრის ხელმძღვანელი დღემდე აქებს და მისტირის გიგი უგულავას, ბაჩო ახალაიას კი დიდ ინტელექტუალად მიიჩნევს, — აღნიშნავს მჟავანაძე.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ ასეთ განცხადებებს პრესცენტრები ღიად აკეთებენ.

— პრესით და ტელევიზიით ასეთი განცხადებები ჯერ არ გაუკეთებიათ, თუმცა საჯარო შეხვედრებზე თავის გრძნობებზე ღიად საუბრობენ. თბილისი არ არის მეგაპოლისი, რომ ვერ გავიგოთ, ვინ, სად და რას ამბობს. არავის ვუკრძალავ არც უგულავას სიყვარულს და არც ახალაიას ინტელექტის თაყვანისცემას, მაგრამ ასეთი ადამიანები საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არ უნდა ინიშნებოდნენ, — აღნიშნავს მჟავანაძემ.

მისთვის არგუმენტი არ არის ამ ადამიანების პროფესიონალიზმი და არც მათ დაუსაქმებლობას მიიჩნევს პოლიტიკური ნიშნით დევნად.

— ამ საკითხზე რომ ვიწყებ საუბარს, ხშირად მეუბნებიან, რომ თუ პროფესიონალები არიან, რა უჭირს, იყვნენ ნაციონალებიო. საქმე დამნაშავე რეჟიმთან რომ არ გვქონდეს, შესაძლოა, მეც ასე მეფიქრა, — ამბობს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე.

მას არგუმენტად ისევ ფაშისტური რეჟიმი მოჰყავს და ამბობს, რომ ნაციონალები ჰიტლერელებისგან დიდად არ განსხვავდებიან.

— ნაციონალური მოძრაობა არის დამნაშავე რეჟიმი, ის 3 წლის წინ შევცვალეთ. ნაცისტური რეჟიმი 70 წლის წინ გაასამართლეს და მათგან რამდენიმეღაა ცოცხალი დარჩენილი. ამ ხალხს ცალი ფეხი სამარეში აქვს და თუ სადმე იპოვიან, აპატიმრებენ და პასუხს სთხოვენ. ჩვენ რატომ არ უნდა მოვთხოვოთ დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებს პასუხი? — კითხულობს მჟავანაძე.

მისი თქმით, პასუხისგება ციხეში წასვლას არ ნიშნავს, მაგრამ ბოდიშის მოხდა აუცილებელია.

— მე არ ვთვლი, რომ ეს ხალხი უნდა დავიჭიროთ, არც იმას ვამბობ, რომ თავისი საქმე კარგად არ იციან, მაგრამ 9 წლის მანძილზე შავზე თეთრს რომ იძახდნენ და თვალებში ნაცარს გვაყრიდნენ, ამაზე ბოდიში მაინც მოიხადონ. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ დღემდე სააკაშვილს მისტირიან, — ჩივის „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე.

ამ საკადრო გადაწყვეტილებებით ის თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და მიიჩნევს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პროფესიონალები სხვაგან უნდა მოძებნოს.

— ზოგიერთ პრესცენტრში რომ შეიხედავ, ისეთ ხალხს დაინახავ, გული გაგისკდება. ამ დროს კი საქართველოში მრავლად არიან ჟურნალისტები, რომლებსაც 9 წლის მანძილზე თავი გადადებული ჰქონდათ და საზოგადოებას ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდნენ, — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.



### რესპუბლიკელები პენალტის დასარტყმელად ემზადებიან

მას ამ თემაზე ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც ჰქონია საუბარი და მათმა არგუმენტებმა კიდევ უფრო შეაწუხა.

— არაერთხელ მისაუბრია ამ თემაზე და ძალიან გაკვირვებული ვარ მათი პოზიციით. ამბობენ, ეს ხალხი იმიტომ დავნიშნეთ ამ სამსახურებში, არ გვინდა, ნაციონალებთან წავიდნენ და ისინი გააძლიერონო. ეს არის მათი „კარენოი“ არგუმენტი, — ამბობს მჟავანაძე.

მისი თქმით, ასეთი დანიშვნები ამ ხალხს ნაციონალებს ვერ ჩამოაცილებს და მათ ყოფილი ხელისუფლებისთვის უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე აქამდე.

— პრესსამსახურებში ხელფასები მაღალია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მათი აზროვნების შესაცვლელად. ისინი ისევ ძველ რეჟიმს მისტირიან და მათ მიმართ ღიად გამოხატავენ სიმპათიებს. საჭირო მომენტში მათ მხარეს გადავლენ, მანამდე კი სამინისტროებიდან ნაციონალებს საიდუმლო ინფორმაციებს მიაწვდიან, — აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავკაცი.

ის ხელისუფლებას იმაზეც ურჩევს დაფიქრებას, თუ რატომ არ ვარგა მათი პიარი.

— ხშირად მოგვისმენია ხელისუფლებისგან, რომ მათი ნაკეთები სათანადოდ არ პიარდება. მერე ვის ეხება პიარის გაკეთება? ერთხელ მაინც არ უფიქრიათ ამაზე? — კითხულობს მჟავანაძე.

მისი აზრით, თუ ხელისუფლება მეტ ყურადღებას არ გამოიჩენს, რამდენიმე მიმართულებით შეექმნება სერიოზული პრობლემა.

— სახელმწიფო სტრუქტურებში ჩანერგილებისგან რაც არის მოსალოდნელი, ყველა აცნობიერებს. ამას დაუმატეთ პრესცენტრებში მოკალათებული ნაციონალები და კარგად ექნებათ საქმე. მერე ნუ გაუკვირდებათ, საიდან ჟონავს ინფორმაციები, — მიიჩნევს ის.

◆ ◆ ◆

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის თქმით, ხელისუფლებას პრობლემებს რესპუბლიკელებიც შეუქმნიან. ამაში მჟავანაძე თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის ბოლო განცხადებამ კიდევ უფრო დაარწმუნა.

— გამოვიდა ეს ქალი და აცხადებს, ჩემი ნება რომ იყოს, ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებაში დავაბრუნებდიო. ეს ყველას უნდა, მაგრამ ხიდაშელმა ძალიან ცუდად თქვა და ამ განცხადებით ექს-პრემიერის გარდა, ირაკლი ღარიბაშვილსაც დაარტყა. ხიდაშელს კარგად ახსოვს ივანიშვილის პირობა, რომლის თანახმადაც, ის პოლიტიკაში მაშინ დაბრუნდება, თუ ცუდად იქნება საქმე. რადგან მის დაბრუნებას ითხოვს, ამით იმაზე მიუთითებს, რომ ღარიბაშვილი საქმეს კარგად ვერ ართმევს თავს. თავად ივანიშვილს კი ფაქტიურად არაფორმალურ მმართველობაში სდებს ბრალს, — აცხადებს მჟავანაძე.

ის კატეგორიულად მოითხოვს, რომ ხელისუფლება დასავლურ სტანდარტებზე გადავიდეს.

— ყველა, განსაკუთრებით კი რესპუბლიკელები, დასავლურ სტანდარტებზე საუბრობენ. ერთი მითხრან, სად ნახეს დასავლეთში, სპორტის მინისტრი პოლიტიკურ წიაღსვლებში ჩადიოდეს ან თავდაცვის მინისტრი აკეთებდეს პოლიტიკურ შეფასებებს? ეს ხიდაშელი სულ ტელევიზორშია, ლაპარაკი თუ უნდოდა, დარჩენილიყო პარლამენტში, მაგრამ მინისტრობა მოინდომა. ჰოდა, თავდაცვის მინისტრი თუ ხარ, მიხედე რა, ქალო, ამ ჯარს და დაანებე ინტრიგებს თავი, — ამბობს „უფლებადამცელთა გაერთიანების თავმჯდომარე.

მისი აზრით, რესპუბლიკელები ამაზე არ გაჩერდებიან და ხელისუფლებას ცუდ სიურპრიზს შესთავაზებენ.

— ისინი პენალტის დასარტყმელად ემზადებიან, — აცხადებს მჟავანაძე.

## ირაკლი ღარიბაშვილი მონღოლ კოლეგას შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მონღოლეთის პრემიერ-მინისტრს, საიხანბილეგ ჩიმედს შეხვდა.

ოფიციალური ცნობით, შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და მონღოლეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. აღინიშნა მონღოლეთის დაინტერესება საქართველოს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროებით.

საუბარი შეეხო აბრეშუმის გზის მნიშვნელობას. მონღოლეთის პრემიერ-მინისტრი მიესალმა ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის იდეას, რომელიც ევროპას და აზიას უმოკლესი გზით დააკავშირებს და შეამცირებს დროს და ხარჯს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარებასა და პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას.

ნიუსპრესი

## ტელეკომპანია იმედი“ რეაქციის“ მთელმა შემადგენლობამ დატოვა



ტელეკომპანია „იმედი“ „რეაქციის“ მთელმა შემადგენლობამ დატოვა. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, „რეაქციის“ თანამშრომლებთან სხვადასხვა გადაცემებში დასაქმებებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ბოლო დღემდე მიმდინარეობდა.

არხის დატოვებას „რეაქციის“ და „იმედის კვირის“ პროდიუსერი ვახო ხუზმიაშვილი სოციალურ ქსელში ეხმაურება. „დღეს მე და ტელეკომპანია „იმედი“ „გავკონტრაქტდით“. დავტოვე „იმედი“ იმ ჯგუფთან ერთად, ვინც „რაეაქციას“ ვაკეთებდით — მშვიდობით — არა!!! ნახვამდის!!!“ — წერს ხუზმიაშვილი „ფეისბუქზე“.

ამასთან, არხი დატოვა კიდევ ერთმა პროდიუსერმა სოფო ხუციშვილმა და ლევან ჩხაიძემ, რომელიც „რეაქციის“ პროდიუსერად და „იმედის კვირის“ ჟურნალისტად მუშაობდა.

ინტერპრესნიუსი

## ანი მიროტაძე: კორუფციის ფაქტები კომისიამ უნდა შეისწავლოს“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ანი მიროტაძე ანტიკორუფციული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას ეხმიანება.

როგორც მიროტაძემ ჟურნალისტებთან თემის კომენტირებისას განაცხადა, მიესალმება ასეთი კომისიის შექმნას, თუკი ის არა მხოლოდ უკანასკნელ სამ წელს მიმოიხილავს, არამედ 2004 წლიდან დღემდე პერიოდს.

**ანი მიროტაძე:**

— თუ იქნება დაზუსტებული წლები, მაგალითად, 2004 წლიდან დღემდე რა ხდებოდა ქვეყანაში ამ მიმართულებით და რამდენად მაღალი იყო კორუფციის და ნეპოტიზმის ხარისხი, არა მხოლოდ მხარს დავუჭერ, მხარს დავუჭერ იმას, რომ ,,ნაციონალური მოძრაობის“ რიგებიდან იყოს კომისიის ხელმძღვანელი.

ძალიან საინტერესო იქნება ის დასკვნა, რომელსაც ამ გუნდის წარმომადგენლები დადებენ.

მედიანიუსი

## სოსო ცისკარიშვილი: სააკაშვილის მხრიდან არჩევნებში მონაწილეობა თავხედობაა“



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის განცხადებას საქართველოში მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მის შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით, ექსპერტი იოსებ ცისკარიშვილი მორიგ თავხედურ გამოწვევად აფასებს.

როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, წინასაარჩევნოდ არჩევნებში მონაწილეობისთვის მოქალაქეთა რეგისტრაცია კანონით დაშვებულია.

**სოსო ცისკარიშვილი:**

— თუმცა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მიხეილ სააკაშვილის, როგორც ძებნილის, მიმართ ქართული მართლმსაჯულება, ეს მხოლოდ პოლიტიკური საკითხი არ არის. თუ არჩევნებისათვის ქართული პროკურატურა ზურაბ ადეიშვილის კადრებისაგან გაიწმინდება, სააკაშვილს პარლამენტარობა, დიდი ალბათობით, გაუჭირდება. მანამდე კი მას, მისივე გამონათქვამებიდან გამომდინარე, თავი ხან უკრაინის, ხან მოლდავეთის პრემიერ-მინისტრი ეგონება.

ერთია, რომ სააკაშვილს ნამდვილად ეკუთვნის ადგილი იმ პოლიტიკოსთა სათავეში, რომლებიც მოხეტიალე პოლიტიკოსობის ფუძემდებლები და გამტარებლები არიან.

◆ ◆ ◆

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ექს-პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი უკრაინულ ,,ფოკუსთან“ ინტერვიუში არ გამორიცხავს, რომ საქართველოში მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

[illegible]

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვახტანგ ძაბირაძე: მაჟორიტარები ადრე რაიონებს ყიდულობდნენ, ახლა პარტიას იყიდიან“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიცია ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებას ითხოვს, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში მაჟორიტარული არჩევნები აღარ ჩატარდება და არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებაზე გადავალთ.**

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე კი აცხადებს, რომ არც ეს არ იქნება გამოსავალი, რადგან მაჟორიტარები თუ იბრძოდნენ პარლამენტში მოსახვედრად რეგიონებიდან, ახლა დეპუტატობის მსურველები გამსვლელ სიებში მოსახვედრად პარტიებიდან იბრძოლებენ და ეს დიდი ვაჭრობის თემა გახდება.**

**ვახტანგ ძაბირაძე:**

— საარჩევნო კოდექსის ცვლილება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმდენად ცვლილება, არამედ ისეთი საარჩევნო კოდექსის მიღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს არსებული პოლიტიკური სპექტრიდან, იმ ადამიანებისგან, ვინც პოლიტიკაშია, შეირჩეს ყველაზე უკეთესი. დღევანდელი საარჩევნო კოდექსი ამას ვერ უზრუნველყოფს. პრობლემა ის არის, რომ ის ვარიანტი, რომელსაც ოპოზიცია ითხოვს, ვერც ის მოიტანს წარმატებას ამ მიმართულებით.

***— რატომ?***

— თუ პროპორციულ სისტემაზე გადავალთ, ხელისუფლება გარკვეულ შანს დაკარგავს, მაგრამ ოპოზიცია მიიღებს იმას, რომ დეპუტატობის მსურველთა სიებში ჩასასმელად დაიწყებს ვაჭრობას. ამით საზოგადოება რას მოიგებს, ეს აღარ ვიცი. ცვლილებებზე თუ არის საუბარი, მაშინ უნდა იყოს ისეთ ცვლილებებზე საუბარი, რომელიც ქვეყანას დემოკრატიული განვითარების კუთხით წაადგება. არჩევნების გაყალბებას ხელს შეუშლის. ასევე ხელს შეუშლის სახელისუფლო რესურსის გამოყენებას და ა.შ.

პოლიტოლოგის განცხადებით, ოპოზიცია დღეს ხელისუფლებას ედავება, რომ კვოტების უმრავლესობა თვითონ მიიღოს.

— მე არა მგონია, რომ ამ ცვლილებებმა რაიმე სასიკეთო მოგვიტანოს, — აცხადებს ექსპერტი.



**ძალიან მინდა, რომ ამ ხელისუფლებას ხელი არაფერზე წაუცდეს და ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩაატაროს.**

— თქვენ ახსენეთ, რომ დაიწყება ვაჭრობა, პროპორციული არჩევნები ამის საშუალებას იძლევა?

***— რა თქმა უნდა, იძლევა. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ასეთი რამეები არსებულ სისტემაშიც ხდებოდა. ახლა უბრალოდ მეტი რესურსი გაჩნდება სავაჭროდ, რომ ვიღაცები სიებში მოხვდნენ.***

## 20 წელია, რუსთაველზე აქციები ტარდება, მაგრამ ამით არაფერი იცვლება

— აცხადებთ, რომ მაჟორიტარული სისტემა უფრო სამართლიანია? საქართველოში მაჟორიტარების დიდი უმრავლესობა ბიზნესმენია და ძნელი მისახვედრი არ არის, რა ინტერესიც აქვთ პოლიტიკაში.

— გეტყვით, რა განსხვავებაა: თუ აქამდე მაჟორიტარი რაიონს ყიდულობდა, დღეს ამ ფულით პარტიას იყიდის. ეს არის და ეს. გეკითხებით, იცვლება რამე? არაფერი. ეს არ არის უმნიშვნელო პრობლემა, ეს ქვეყნის პრობლემა არის.

ხშირად გაიგებთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანური რესურსია, რომ ბევრი პოლიტიკოსია ქვეყანაში, რეალურად კი პირიქით არის, არც ადამიანური რესურსია და არც ნამდვილი პოლიტიკოსია ბევრი. სისტემა, რომელიც არსებობს, ცხადია, ვერ უზრუნველყოს საუკეთესოების შერჩევას.

***— პარლამენტში, პოლიტიკაში შემთხვევითი ადამიანები ხვდებიან?***

— რასაკვირველია.

***— რა უნდა გაკეთდეს, რომ შემთხვევითი ადამიანები არ მოვიდნენ პარლამენტში?***

— ამისთვის არა მხოლოდ საარჩევნო სისტემა, არამედ ხმის მიცემის წესიც უნდა შეიცვალოს. სისტემა, საარჩევნო კოდექსი იმ რეალობას უნდა მოვარგოთ, რა რეალობაც დღეს ქვეყანაშია. იმ პრობლემებს, რომელიც საზოგადოებას აქვს.

ასეთი სისტემები არსებობს, მაგრამ ეს სისტემა არავის არ აწყობს. მართლაც შემთხვევითი ხალხია, მაგრამ ეს არის საზოგადოებისთვის შემთხვევითი, თორემ იმათთვის, ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებდა, სულაც არ არის შემთხვევითი.

ეს არის საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი.

რაში ხედავს ექსპერტი გამოსავალს?

— ორი რამ არის საჭირო: ხელისუფლებაში მოსვლა უნდა გინდოდეს, რომ საქმე გააკეთო და არ უნდა გეშინოდეს იმის, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს არჩევნები წააგო. წააგე, რა მოხდა, ამ არჩევნებს წააგებ, სხვა არჩევნებს მოიგებ. სანამ არ მოხდება ამის გათავისება პოლიტიკურ სპექტრში, მანამდე ვიტრიალებთ იმ ჭაობში, რომელშიც 25 წელია ვტრიალებთ.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე ოპოზიციის როლზეც საუბრობს. ის აცხადებს, რომ ყველა ქვეყანაში ოპოზიცია მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელისუფლებისთვის, მაგრამ დღეს ოპოზიცია სუსტი და დაქსაქსულია.

— გამოცდილებიდან გამომდინარე, ოპოზიცია ბოლომდე ერთიანი და ბოლომდე პრინციპული არ არის. შეიძლება ოპოზიციამ 200 ათასი ხელმოწერა მოაგროვოს, მაგრამ სხვას ვერაფერს შეძლებს კანონმდებლობის ცვლილების კუთხით. გულწრფელად მინდა, რომ ოპოზიცია შეიცვალოს და რეალური კონკურენცია გაუწიოს ხელისუფლებას და არ მისცეს გარკვეული მაქინაციების საშუალება.

***— 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს საერთაშორისო საზოგადოება გამადიდებელი შუშით დააკვირდება. ხელისუფლება ამ არჩევნებს დემოკრატიულად ჩაატარებს თუ შეიძლება ხელი წაუცდეს?***

— ძალიან მინდა, რომ ამ ხელისუფლებას ხელი არაფერზე წაუცდეს და ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩაატაროს.

ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას აქვს სამწლიანი პერიოდი. ხელისუფლებას თუ რამის გაკეთება უნდა, პირველ სამ წელიწადში უნდა მოასწროს, როდესაც მისი მხარდაჭერა მოსახლეობაში ძალიან მაღალია. შემდეგ იწყება პრობლემები.

***— ოპოზიცია საარჩევნო კოდექსის ცვლილების მოთხოვნით გამოსვლებს აპირებს.***

— 20 წელია რუსთაველზე აქციები ტარდება, მაგრამ ამით რამე იცვლება? თუ საპროტესტო აქციების ორგანიზება დაიწყება, ეს იქნება ოპოზიციის მიერ მცდელობა თავისი ელექტორატის მობილიზების. ამაში რაიმე კრიტიკული არაფერია, ეს სრულიად დემოკრატიული და პოლიტიკური თამაშის შემადგენელი ნაწილია.

# საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე კორპუსს აშენებენ




თბილისში, პეკინის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე 10-სართულიანი კორპუსის აშენება „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ნიკა მელიამ გააპროტესტა.

პარტიის წარმომადგენელმა ის ადგილი მოინახულა, სადაც კერძო კომპანია „ელ ზურო“ მშენებლობას აპირებს და ქალაქის მერს მშენებლობის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

**ნიკა მელია:**

— როგორც ჩანს, მერია ჯიუტად აგრძელებს მოსახლეობის პოზიციის უგულებელყოფას. მშენებლობის ნებართვა მიეცა კომპანიას, რომელიც კინწისკვრით გამოაგდო ყაზბეგის გამზირიდან მოსახლეობამ და ადგილმონაცვლეობით ძალიან მოკლე ვადაში მერიამ მას საბავშვო ბაღის ტერიტორია შესთავაზა.

მინდა მივმართო ნარმანიას და იმ კომპანიის წარმომადგენლებს, რომლებიც მშენებლობაში არიან ჩართულები, რომ აქ ვერ ააშენებენ კორპუსს, რომელიც მალულად დააპროექტეს და დაგეგმეს.

ნარმანია უნდა იყოს საქმის კურსში, რომ ეს სახლი აქ არ აშენდება. ვერანაირი უხილავი ხელი ვერ ააშენებს აქ იმ სიმახინჯეს, რაც დაიგეგმა.

კომპანიის წარმომადგენლების ინფორმაციით, პეკინის 23 ნომერში მდებარე შენობა „ელ ზუროს“ ეკუთვნის.

კომპანია აპირებს ტერიტორიაზე 10-სართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობის აშენებას. მშენებლობას ადგილობრივი მოსახლეობა ეწინააღმდეგება, მათი თქმით, შენობის დემონტაჟი მათ საცხოვრებელ სახლებს შეუქმნის პრობლემას. შენობა-ნაგებობა იჯარით საბავშვო ბაღს ეკუთვნოდა.

ინტერპრესნიუსი

# ირმა ქავთარაძე: ლარის კურსზე გავლენას ძირითადად გარემო ფაქტორები ახდენს“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ირმა ქავთარაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ინვესტიციები არათუ შემცირდა, არამედ არის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც „ლარის კურსზე უარყოფით გავლენას ვერანაირად ვერ მოახდენდა“.

ირმა ქავთარაძე:

— არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, რომ ლარის კურსზე გავლენას ახდენს ძირითადად გარემო ფაქტორები. გადავხედოთ, რა ხდება რეგიონში, რა ხდება მსოფლიოში, დოლარი მყარდება ყველა ვალუტის მიმართ.

საქართველოში კიდევ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე რეგიონის ბევრ სხვა ქვეყანაში. ჩვენ გვაქვს ყოველდღიური ინფორმაციები და შედარება სხვა ქვეყნებთან. გაცილებით უფრო მეტადაა გაუფასურებული ვალუტის კურსი არა მარტო რუსეთსა და უკრაინაში გასაგები მიზეზების გამო, არამედ ბელორუსიაში, თურქეთში, აზერბაიჯანში, მოლდოვაში და ა.შ. ასევე ვიცით, რა მოხდა ყაზახეთში. ასე რომ,



ლარის კურსზე გავლენას ახდენს ძირითადად გარემო ფაქტორები. მინდა ეს ხაზგასმით ვთქვა.

მისი განცხადებით, დოლართან მიმართებაში ევროც გაუფასურებულია.

კითხვაზე, ინვესტიციების ზრდიდან გამომდინარე, თუ არის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გადახედვა, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ პროგნოზის გაკეთება საკმაოდ რთულია, თუმცა ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

— იმედი გვაქვს, რომ ეს თავისთავად დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე, თუმცა ჩვენ ვართ ისევ ამ რეგიონში.

ხედავთ, რა ხდება ჩინეთში, რომელმაც მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე მოახდინა გავლენა. ახლა პროგნოზის გაკეთება არის საკმაოდ ძნელი, მაგრამ ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი, — განაცხადა ქავთარაძემ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ დაზუსტებულ მაჩვენებელთან შედარებით, 2015 წლის მეორე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 81 პროცენტით გაიზარდა.

ინტერპრესნიუსი

# თამარ სანიკიძე: ყველა მოსწავლეს გამოსადეგი სახელმძღვანელო ექნება“



განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის განცხადებით, საჯარო სკოლებში სახელმძღვანელოები უფასოდ დარიგდება.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, როგორც მინისტრმა გადაცემა ,,სხვა შუადღეში“ განმარტა, აქ სახელმძღვანელოები გარკვეული კატეგორიების მიხედვით დარიგდება.

**თამარ სანიკიძე:**

— სახელმძღვანელოების პროგრამა გრძელდება და ყველა მოსწავლე საჯარო სკოლაში, პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ხოლო კერძო სკოლებში გარკვეული კონტიგენტი მოსწავლეებისა, ესაა ომში დაღუპულთა შვილები, სოციალურად დაუცველები და ა.შ. მიიღებენ ყველა საგნის სახელმძღვანელოს. როგორც შარშან, წელსაც გვექნება ნაზავი, გამოყენებული და ახალი სახელმძღვანელოებისა, სამუშაო რვეულები ახალი იქნება, იმიტომ, რომ იქ მუშაობენ ბავშვები.

ვიცი, რომ არაერთგვაროვანი განცხადებები გაკეთდა ამასთან დაკავშირებით და რეალურად დაზარალდა საზოგადოება, რომელსაც სწორი ინფორმაცია ჯერ კიდევ არ აქვს.

ყველა მშობელს განვუმარტავ, რომ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს წიგნის შეძენის, ყველა მოსწავლეს ექნება ისეთი სახელმძღვანელო, ისეთ მდგომარეობაში, რომელიც არის სასწავლო პროცესისთვის გამოსადეგი.

მედიანიუსი

# მასწავლებლის ხელფასი 34%-ით იზრდება

განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის ინფორმაციით, მასწავლებლის ხელფასი 34 %-ით იზრდება.

კერძოდ, როგორც სანიკიძემ ,,სხვა შუადღის“ ეთერში განაცხადა, საბაზო ხელფასის ზრდა ორ ეტაპად მოხდება 50-50 ლარით.

— კარგი ინფორმაცია გვაქვს პედაგოგებისთვის. ორჯერ მოხდება საბაზო ხელფასის გაზრდა. თავდაპირველად, 14 სექტემბერს მოხდება მასწავლებლის ხელფასის 50 ლარით ზრდა და შემდეგ აპრილში, კიდევ 50 ლარით. რაც გულისხმობს იმას, რომ ხელფასი იზრდება 34 %-ით. ამასთან, ზრდა გვაქვს არა მხოლოდ საბაზო ხელფასის დონეზე, არამედ კარიერული საფეხურების დონეებზე, რომელიც ასევე საგრძნობია. ამიტომ, მნიშვნელოვანი რეფორმა გვაქვს წინ, — განაცხადა თამარ სანიკიძემ.

მედიანიუსი

# ნანა დევდარიანი: „ქართული ოცნება“ საფუძვლიანად გადახალისდება“

ნონა ცაბაძე

**გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არაფორმალური მმართველობა არ არის. მაგანს კი ფორმალური დიქტატორი არ გაუპროტესტებია და რატომღაც ეს სიტუაცია აწუხებს.**

— მარტო ჩვენთან კი არა, იგივე შეერთებული შტატები რომ ავიღოთ, არიან ადამიანები, ვინც წავიდნენ პოლიტიკიდან, მაგრამ ისინი კვლავ სერიოზულ გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე. მათ გამოსვლას, ინტერვიუს და განცხადებას დიდი წონა აქვს. თუნდაც იგივე ჰენრი კისინჯერი.

დევდარიანის თქმით, ის ივანიშვილს და კისინჯერს ერთმანეთს არ ადარებს, მაგრამ თვლის, რომ ასეთი არაფორმალური გავლენები ყველგანაა და ის ამაში უცნაურს ვერაფერს ხედავს.

***— როდესაც ხალხი გრძნობს ღია ჩარევებს?***

— სიმართლე თუ გინდათ, ივანიშვილისგან ასე ღია და თვალსაჩინო ჩარევა არ ჩანს. პერიოდულად თავის მოსაზრებებს საჯაროდ აფიქსირებს, მაგრამ არ იგრძნობა მისი პროცესში ჩართულობა.

ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ივანიშვილს ეპიზოდური შეფასებები ჰქონდეს, თუმცა ყოველდღიურ ჩარევაზე საუბარი რთულია.

— სხვა საქმეა, რომ მან პოლიტიკაში მოიყვანა ისეთი ადამიანები, რომლებსაც გამოცდილება არ ჰქონდათ. ვისაც ჰქონდა, ჰქონდა ნეგატიური.

დევდარიანისთვის გასაგებია იმ დეპუტატების თუ მინისტრების პოზიცია, რომლებიც სულ უკან იყურებიან, თუ როგორ შეხედავს ივანიშვილი მათ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას.

— ასევე ეს ის ადამიანია, რომელსაც არ ერიდება საჯაროდ იმის თქმა, რომ შეცდა რაღაცაში და მთელი აღიარებები ჰქონდა, რომ შევცდი ამა თუ იმ საკითხის შეფასებაშიო.

***— რამდენად მისაღებია პირველი პირისგან ეს აღიარებითი შეცდომები? როდესაც აცხადებს, რომ — ეს წამოცდომა იყოო?***

— ამას ბიძინა ივანიშვილი წინასწარ ვერ განჭვრეტდა!

***— თუ განჭვრეტის უნარი არ გაქვს, პოლიტიკაში რა გინდა?***

— ყველაფერს წინასწარ ვერ განსაზღვრავ. მე არც იმის მჯერა, რომ აცხადებენ, აი, მიხეილ სააკაშვილი მოვიდა სათავეში იმისთვის, რომ დაეღუპა ქვეყანა. ქვეყნის არც ერთ მმართველს, არც ერთ ხელისუფალს არ უნდა ქვეყნის დაღუპვა! ან რატომ უნდა უნდოდეს? — კითხულობს ნანა დევდარიანი და თავადვე პასუხობს:

— რაღაცა არ გამოდის, რაღაცა ისე ვერ კეთდება. ზოგს უნარი არ ყოფნის, ზოგს საკადრო პოლიტიკა არ უვარგა. აბსურდია, ვიღაცას იმის აკვიატება ჰქონდეს, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს იმიტომ, რომ ქვეყანა გაანადგუროს!

გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ივანიშვილს არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ ჰქონდა და მისი პოლიტიკაში შემოსვლა იძულებითი იყო.

— ის თავს პოლიტიკის გარეშე მშვენივრად გრძნობდა! მე მეტსაც გეტყვით, ის კი არ მოვიდა პოლიტიკაში, პოლიტიკა შევიდა მის ცხოვრებაში, ძალიან ცუდად და უშნოდ.

ექსპერტი თვლის, ის რომ ივანიშვილი პროცესში ჩაერთო, ეს მისი ბუნებრივი რეაქცია იყო იმაზე, რაც მოხდა.

— ივანიშვილი თავიდანვე აცნობიერებდა, რომ ეს არ არის ის სფერო, სადაც მან უნდა იღვაწოს და ამიტომაც წავიდა ასე



**ქვეყნის არც ერთ მმართველს, არც ერთ ხელისუფალს არ უნდა ქვეყნის დაღუპვა!**

ადრე!

***— იმის თქმა გინდათ, რომ არ დაბრუნდება? კულუარებში ბევრს საუბრობენ მის ხელახალ დაბრუნებაზე.***

— პირიქით, მე არ გამოვრიცხავ, რომ დაბრუნდეს და ეს არაერთხელ მითქვამს. შესაძლოა ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ ის იძულებული გახდეს დაბრუნდეს. ადამიანები ყოველთვის ჩვენი წარსულის, ჩვენი კონკრეტული მოქმედების მძევალი ვხდებით.

დევდარიანი მიიჩნევს, რომ დღეს ივანიშვილს გარკვეული ვალდებულებები აქვს ქართველი ხალხის წინაშე.

— იმის მიუხედავად, რომ ის თავად აღიარებს, რომ გარკვეულ პიროვნებებში შეცდა, რაღაცების პროგნოზი არ გამოვიდა ისეთი, როგორსაც თვითონ ელოდა, ამის ფონზე არ გამოვრიცხავ, რომ შეიქმნეს ისეთი ვითარება, ის დაბრუნდეს პოლიტიკაში!

***— იქნებ ეს დაბრუნება „ოცნების“ გადასარჩენად სჭირდება?***

— „ოცნების“ იქნება თუ რაღაც სხვა კონფიგურაციის, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო ვითარების გადასარჩენად

**ივანიშვილი პოლიტიკის გარეშე მშვენივრად გრძნობდა თავს! მე მეტსაც გეტყვით, ის კი არ მოვიდა პოლიტიკაში, პოლიტიკა შევიდა მის ცხოვრებაში, ძალიან ცუდად და უშნოდ.**

მოუწევს ამის გაკეთება, რადგან ძალიან უშნოდ მიდის ეს პროცესი.

ექსპერტის აზრით, ივანიშვილი დარწმუნებული იყო, რომ გარკვეული პიროვნებები იმის გაკეთებას ვერ გაბედავდნენ, რაც მათ გააკეთეს.

***— რა გააკეთეს?***

— ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. ამაზე ჩვენ თავიდანვე ვსაუბრობდით, თუმცა ივანიშვილმა არ დაგვიჯერა. ეგონა მას ამას ვერ გაუბედავდნენ, რადგან მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. თუმცა პოლიტიკაში ყველაფერი ხდება.

***— ანუ ივანიშვილს სერიოზულად გაუცრუვდა იმედები საკუთარი გუნდის მიმართ?***

— დიახ და ამას თავადაც არ მალავს. საჯაროდ ამბობს.

ნანა დევდარიანი დარწმუნებულია, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ საფუძვლიანად გადახალისდება. უკვე აქტიურად საუბრობენ ახალ სახეებზეც. ერთ-ერთი ასეთი პაატა ბურჭულაძეა.

***— რამდენად უღირს მას პოლიტიკაში წასვლა? რადგან პოლიტიკა სუფთას აღარავის უშვებს.***

— არც ეს არის სწორი ცნება. მე არაერთი ადამიანი ვიცი, ვინც პოლიტიკიდან სუფთა გამოვიდა. პოლიტიკა ბინძურიაო, რომ ამბობენ, პოლიტიკა რა შუაშია? სიბინძურეს ბინძური ადამიანები ჩადიან.

უღირს თუ არა ეს ბურჭულაძეს, ექსპერტი თვლის, რომ ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება პერიოდი, როცა საკუთარი თავის გარდა, რაღაცაზე პასუხისმგებლობის აღება გინდა.

ადამიანი ამ გადაწყვეტილებას იღებს მაშინ, როცა უნდა, რომ რაღაც შეცვალოს. ეს ხან გამოსდის და ხან არა, — ამბობს ექსპერტი.

კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ ივანიშვილს ძალიან უჭირს ახალი სახეების მოძიება და შევარდნაძის დროინდელ ჩინოვნიკებს აბრუნებს. იგივე ნიკო ლეკიშვილი გამოდის ასპარეზზე, რომელიც ამბროლაურში იყრის კენჭს მაჟორიტარ დეპუტატად.

— ნიკო ლეკიშვილი თუ კენჭისყრას აპირებს, ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ მას ბიძინა ივანიშვილმა უთხრა, წადი, კენჭი იყარეო! რას ნიშნავს ძველი სახეები? აბა, სულ ხომ არ მოცარიელდება ეს მინდორი? ვიღაცა ძველია და ვიღაცა ახალი, — აცხადებს დევდარიანი და დასძენს:

ყველა სახე ძველია. რა, სააკაშვილი ახალი სახე იყო? რომელი ერთი იყო ახალი? ჩამოვყვეთ ნაციონალურ მოძრაობას და მათი უმრავლესობა მიბმულები იყვნენ წინა ხელისუფლებაზე.

***— არ გამორიცხავთ, რომ ეს ძველი სახეები კვლავაც ვიხილოთ პარლამენტში?***

— ან ვინ თქვა, რომ არ უნდა იყვნენ ძველი სახეები? სამარცხვინო იყო სააკაშვილის პარლამენტი, რომელშიც 21 წლის დეპუტატები ისხდნენ.

# კახა ძაგანია: კრიმინალი სააკაშვილი და მისი სატელიტი ნათელაშვილი არეულობას აანონსებენ“

„მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარემ კახა ძაგანიამ ინტერნეტპორტალ კავპოლიტ.ცომ - ს ინტერვიუ მისცა.

ინტერვიუში კახა ძაგანია საქართველოში დენის ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებით საუბრობს.



— ვფიქრობ, ეს იქნება გამოცდა ამჟამინდელი მმართველი პარტიისათვის, რადგან „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში ფართომასშტაბის აქცია ჯერ არ ჩატარებულა. ვნახოთ, როგორ გაუძლებენ ისინი დემოკრატიულ ზეწოლას ხალხისა და ოპოზიციისგან, — განაცხადა პოლიტიკური პარტია „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარემ კახა ძაგანიამ.

მისი ინფორმაციით, ამაში გარეული არიან სააკაშვილის დროს ხელისუფლებაში მყოფი კრიმინალური დაჯგუფებები, რომ სააკაშვილის პარტიის ბოსები დღესაც წყვეტენ საქართველოს სატარიფო პოლიტიკას.

**კახა ძაგანია:**

— ადამიანები, ვინც დღესდღეობით იღებენ გადაწყვეტილებას ტარიფების თვალსაზრისით, დანიშნული იყვნენ სააკაშვილის დროს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრიმინალი სააკაშვილი და მისი სატელიტი მილიონერი ნათელაშვილი საშემოდგომოდ აანონსებენ არეულობასა და დესტაბილიზაციას, რასაც პოლიტიკური პარტია „მემარცხენე ალიანსი“ არ დაუშვებს.

ინტერპრესნიუსი

# კურტ ვოლკერი: რუსეთთან სიფრთხილეა საჭირო, მაგრამ საქართველო პასიური არ უნდა იყოს“

**„ინტერპრესნიუსი ნატო-ში აშშ-ის ყოფილს ელჩს, კურტ ვოლკერს ესაუბრა.**

***— ბატონო კურტ, მას შემდეგ, რაც 2014 წელს რუსეთმა ყირიმის ანექსია განახორციელა, დონბასში სამხედრო ავანტიურა დაიწყო. თქვენ როგორ დაახასიათებდით ევროპის ახალ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს?***

— აბსოლუტურად ვეთანხმები „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ თქვენ მიერ რუსეთის ქმედებების შეფასებას. ამ ქმედებებით, რუსეთმა დაარღვია მანამდე არსებული ყველა საერთაშორისო ნორმა და წესი.

მან დაარღვია ახალი ევროპის „პარიზის ქარტია“, უკრაინის თემაზე 1994 წელს გაფორმებული ბუდაპეშტის მემორანდუმი, ასევე ნატო-სა და რუსეთს შორის თანამშრომლობის სადამფუძნებლო აქტი, რითაც რუსეთის მონაწილეობა საერთაშორისო სამართლის სისტემაში მნიშვნელოვნად გართულდა.

თუ დავაკვირდებით საერთაშორისო სასამართლოებში მისი წარმომადგენლობისა და ევროსაბჭოში მის მოქმედებას, რომელიც ასევე მოითხოვს სუვერენული ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას, ვნახავთ, რომ მოსკოვი მანამდე არსებულ და აღიარებულ ყველა ნორმებს მუდმივად არღვევს.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთმა საერთაშორისო ურთიერთობებსა და თანამეგობრობაში არსებული წესები მიიღო და დაეთანხმა მას. მაგრამ, ვიმეორებ, უკანასკნელი წელია, რუსეთი არღვევს ყველა ადრე მიღებული საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და წესებს. შედეგად, ჩვენ სამართლებრივად ჩამოყალიბებული ევროპიდან საფრთხეების თვალსაზრისით არამდგრადი ევროპა მივიღეთ, სადაც სამხედრო ძალას შეუძლია, ითამაშოს გადამწყვეტი როლი და მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე თავისი წესები დაამყაროს.



სამწუხაროდ, ევროპა საკმაოდ ნელი ტემპებით აღიარებს იმას, რომ იგი ამგვარ ვითარებაში აღმოჩნდა.

დღემდე ევროპა ნაკლებად ავლენს სურვილს, არსებული ვითარების შესაცვლელად რაიმე გააკეთოს. ამის გამო ყველა ჩვენ საკმაოდ სახიფათო სიტუაციაში აღმოვჩნდით. ყველა უნდა შევეცადოთ, ერთიანი ძალისხმევით აღვადგინოთ უსაფრთხოება ევროპაში.

***— კრემლთან დაახლოებული ექსპერტის, სუშენცოვის მტკიცებით, თუ პუტინი ნიუ-იორკიდან ხელცარიელი დაბრუნდა და დეიტონი-2 არ შედგა, დიდია ალბათობა, რომ რუსეთი უკრაინაში სამხედრო მოქმედებებს განაახლებს.***

თქვენი აზრით, შედგება თუ არა დეიტონი-2 და სავარაუდოდ, რას მოიმოქმედებენ აშშ და დასავლეთი თუ რუსეთმა ქალაქი მარიუპოლი აიღო?

— დიახ, არიან ამერიკაში პოლიტიკოსები, რომელთა ძალისხმევა მიმართულია სწორედ იმისაკენ, რომ თეთრი სახლი რუსეთთან მიმართებაში დათმობებზე წავიდეს. მათი აზრით, რუსეთს თავის ახლო სამეზობლოში ლეგიტიმური ინტერესი აქვს, აშშ-მ არ უნდა დაუშვას ამ სამეზობლოში რუსეთის მიმართ პროვოკაციები, ჩვენ უნდა შევეცადოთ ვითარების დეესკალაციას და არ უნდა შევიდეთ კონფლიქტში.

პრობლემა ისაა, რომ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, პუტინი იყენებს რუსეთის მიმართ ყველანაირ ლოიალურ განწყობას, დეესკალაციის პერიოდებს და კიდევ უფრო წინ მიიწევს.

რუსეთს ესმის, რა არის ძალა და გრძნობს ამ წინააღმდეგობას, მაგრამ იქ, სადაც წინააღმდეგობას არ აწყდება, წინ მიდის. არ მიმაჩნია, რომ ამერიკის ადმინისტრაცია რუსეთთან მიმართებაში დათმობების პოლიტიკას ატარებს, მაგრამ არც ის მგონია, რომ იგი ძალიან ცდილობს, გაურთულოს ცხოვრება რუსეთს და მას გადაულახავი წინააღმდეგობები შეუქმნას.

ჩემი აზრით, ამერიკის დამოკიდებულება ასეთია, იგი ცდილობს რეალობის იგნორირებას, ფიქრობენ, რომ ეს ევროპული პრობლემაა და

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მილიარდერები, რომელთაც ქონება დაკარგეს

**მიმდინარე წელს მსოფლიოში მილიარდერთა რაოდენობამ რეკორდულ რაოდენობას მიაღწია — „ფორბსის“ მონაცემებით, მათი რიცხვი 1.826-მდე გაიზარდა.**

**რეიტინგს 290 ახალი სახე შეემატა, ხოლო მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების ქონების საერთო მაჩვენებელმა 7.05 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მათგან 500 უმდიდრესი ადამიანის ქონება 4.7 ტრილიონი დოლარია.**

**თუმცა, არიან მილიარდერები, რომლებმაც ქონება სხვადასხვა დროს დაკარგეს.**



**მარტა სტიუარტი** — ყოფილი მოდელი, რომელმაც ფაქტობრივად ნულიდან შექმნა უმსხვილესი მედიაიმპერია, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბიზნეს ლედია. მარტა სტიუარტი მილიარდერი გისოსებს მიღმა გახდა, როდესაც მისი კომპანიის აქციების ფასი 90%-ით გაიზარდა.

რამდენიმე წლის წინ სტიუარტს 5-თვიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი ინსაიდერული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენებისთვის. თუმცა, მილიარდერის სტატუსი მარტა სტიუარტმა რამდენიმე კვირაში დაკარგა, როცა მისი აქციების ფასი 40%-ით დაეცა.

◆ ◆ ◆

**რობერტ ჯონსონი** — Black Entertainment Television-ის დამფუძნებელი რობერტ ჯონსონი პირველი აფროამერიკელი მილიარდერია მსოფლიოში. ქონება მან მედიაკონგლომერატის კომპანია „ვიაკომისთვის“ 3 მილიარდ დოლარად გაყიდვის შემდეგ დააგროვა.

თუმცა, მეუღლესთან დაშორების შემდეგ, ჯონსონს ყოფილი მეუღლისთვის 1,2 მილიარდი დოლარის გადახდა მოუწია. მას ასევე პრობლემები შეექმნა 2004 წელს, როცა მისი კომპანიის აქციების ფასი დაეცა. რობერტ ჯონსონი მილიარდერის სტატუსს არა, მაგრამ ქონების დიდ ნაწილს შეელია.

◆ ◆ ◆

**ტომას ფრიდმენი** — იგი „ნიუ იორკ თაიმსის“ ცნობილი ჟურნალისტი გახლავთ. ბევრი მილიარდერისგან განსხვავებით, რომელთაც ქონების დაგროვება დიდი შრომის ფასად მოუწიათ, ტომას ფრიდმენს ნამდვილად გაუმართლა.

რამდენიმე წლის წინ მან ცოლად შეირთო მილიარდერი ანი ბაქსბომი, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო 3,6 მილიარდი დოლარის ქონება უძრავი საინვესტიციო კომპანიის სახით. თუმცა, უძრავი ქონების ბაზარზე დაწყებული კრიზისის გამო, ფრიდმანის მეუღლის კომპანიის ფასი 25 მილიონ დოლარამდე დაეცა.

◆ ◆ ◆

**ბარბარა დევისი** — Davis Petroleum-ის მილიარდერი მფლობელის მარვინ დევისის ქვრივია. 2004 წელს, მარვინ დევისის გარდაცვალების შემდეგ, „ფორბსმა“ მისი ქონება 5,8 მილიარდ დოლარად შეაფასა.

დევისის ქონება მთლიანად ერგო მის ქვრივსა და შვილებს. თუმცა, რამდენიმე წლის წინ, დევისების კომპანია მთლიანად გაკოტრდა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, გრეგ დევისმა ოჯახის ბიზნესი 150 მილიონ დოლარად გაყიდა, როცა რეალური ფასი სულ მცირე 1 მილიარდი დოლარი იყო.

◆ ◆ ◆

**შონ ქუინი** — 2008 წელს შონ ქუინი ირლანდიის ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო, მისი ქონება კი დაახლოებით 6 მილიარდ დოლარს შეადგენდა. თუმცა, მდიდარმა ბიზნესმენმა არასწორი გათვლა გააკეთა, როდესაც ქონების თითქმის მეოთხედი ბანკში ჩადო კრედიტის სანაცვლოდ.

მისი გაუთვალისწინებელი ქმედების შედეგად, მას ბანკის ვალი დაუგროვდა, რასაც ირლანდიელი მილიარდერის ქონება შეეწირა — 2011 წელს შონ ქუინი გაკოტრდა.

◆ ◆ ◆

**ადოლფ მერკლე** — რამდენიმე წლის წინ ადოლფ მერკლე გერმანიის ყველაზე მდიდარი ადამიანების ხუთეულში შედიოდა.

2008 წელს მისი ქონება 9,2 მილიარდი დოლარი იყო. თუმცა, ამ ჩამონათვალში მოხვედრილი მილიარდერების მსგავსად, გაუთვალისწინებელი ბიზნეს ნაბიჯების შედეგად, გერმანელი მილიარდერი მალე ჩაეფლო ვალებში, 2009 წელს კი საბოლოოდ გაკოტრდა.

მომხდარის გამო 74 წლის ადოლფ მერკლემ თავი მოიკლა.

◆ ◆ ◆

**ეიკე ბატისტა** — 2012 წელს ბრაზილიელი ეიკე ბატისტა დასილვა ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო, მსოფლიოს მილიარდერების რეიტინგში კი მეშვიდე პოზიციას იკავებდა 30 მილიარდი დოლარით. თუმცა, ორი წლის წინ ბატისტას პრობლემები შეექმნა — თავდაპირველად მან 200 მილიონი დოლარი დაკარგა, 2014 წლის იანვარში კი თითქმის მთელ ქონებას შეელია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბატისტა ბრაზილიური კონგლომერატის EBX ჯგუფის თავმჯდომარეა, რომელიც ნავთობისა და გაზის კომპანიებს ფლობს, მისი ქონება დღესდღეობით ერთ მილიარდ დოლარზე ნაკლებს შეადგენს.

ბიპიენი

# გოგი თოფაძე: ნუ დავხატავთ გიორგი ქადაგიძეს ანგელოზად!“



რაში უშლის ხელს ეროვნულ ბანკს კონტროლი? — ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოგი თოფაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ლართან დაკავშირებულ კრიზისში ეროვნული ბანკის მოქმედებები უნდა გამოიკვლიოს საზედამხედველო სამსახურმა, რომელიც ეროვნულ ბანკს გამოეყო და თუ დადასტურდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანაშაული, მაშინ გამოძიებაც უნდა დაიწყოს.

**გოგო თოფაძე:**

— ჩვენთან, ეკონომისტების და ბიზნესმენების შეფასებით, ლარის გაუფასურება განაპირობა ეროვნული ბანკის არასწორმა მოქმედებებმა. როდესაც დოლარის კურსი ორამდე ავიდა, ეროვნულმა ბანკმა, სამწუხაროდ, ინტერვენცია სავალუტო რეზერვების არ გააკეთა. როდესაც 2.35-ზე ავიდა კურსი, ეროვნულმა ბანკმა 280 მილიონი ლარი გამოუშვა ბაზარზე და მეორედ — 300 მილიონ ლარამდე. ამან დიდი რღვევა გამოიწვია.

დეპუტატის თქმით, საპანიკო არ არის, რომ ეროვნულ ბანკზე იქნება გარკვეული კონტროლი.

— პრაქტიკულად უკონტროლო იყო და შემოწმდეს, რაში უშლის ხელს ეროვნულ ბანკს?! თუ დაშვებული იქნა რაღაც შეცდომები, საზოგადოებამ უნდა გასცეს პასუხი, — განაცხადა გოგი თოფაძემ.

# რიყე-ნარიყალას საბაგირო დროებით ჩერდება



რიყის პარკისა და ნარიყალას ციხე-სიმაგრის ერთმანეთთან დამაკავშირებელი საბაგირო გზა გეგმიური შემოწმების გამო, 10-დან 20 სექტემბრამდე მგზავრების მომსახურებას შეაჩერებს.

თბილისის მერიის ცნობით, მგზავრების უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, საბაგიროს სისტემატურად უტარდება ტექნიკური დათვალიერება.

რიყის პარკისა და ნარიყალას დამაკვაშირებელი საბაგირო გზა 2012 წლიდან ფუნქციონირებს და დღეში საშუალოდ 2 500 მგზავრს ემსახურება.

როგორც მერიაში აცხადებენ, ის საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით აშენდა და სისტემატური შემოწმება უსაფრთხოების ნორმის დასაცავად ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ნიუსპრესი

# საქართველოში ქართულ-ჩინური საწარმო აშენდება



საქართველოში ასინქრონული ძრავის მქონე ლოკომოტივისა და მისი სათადარიგო ნაწილების მწარმოებელი ქართულ-ჩინური საწარმო აშენდება.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჩინეთის ქალაქ დალიანში გუშინ გაფორმდა.

ხელმოწერის ცერემონიამდე, დალიანის ლოკომოტივის და ვაგონმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

მემორანდუმი მიზნად ისახავს საქართველოში დააფუძნონ ერთობლივი კომპანია, რომელიც განახორციელებს არა მხოლოდ ასინქრონულძრავიანი ელმავლების წარმოებას, არამედ განახორციელებს დიზელისძრავიანი თბომავლების, მეტროს მატარებლების, ელექტრომატარებლების, დიზელის ძრავების, დიზელის გენერატორების და ა.შ. წარმოებას; ასევე ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, დასახელებული პროდუქტების მომსახურებას და შეკეთებით სამუშაოებს.

ერთობლივი კომპანია ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ საქართველოს ბაზარზე, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნების, ირანის, თურქეთის, ევროპის ბაზარზე და ა.შ.

ბიპიენი

# საქართველოდან ყველაზე მეტი ვაშლი სომხეთში გადის

საქართველოში ვაშლის ბაღების უმრავლესობაში ვაშლის მოსავლიანობის მაჩვენებელი დაბალია.

ამის შესახებ ექსპორტის პოტენციალის მქონე 21 პრიორიტეტული პროდუქტის ჩამონათვალშია აღნიშნული.

ჩამონათვალი საქართველოში ცოტა ხნის წინ გამართული ამბასადორიალის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ელჩებს წარუდგინა.

საქართველოში ვაშლის 100-მდე



ჯიშია გავრცელებული, სამრეწველო დანიშნულებით კი მხოლოდ 20-მდე ჯიში გამოიყენება. შიდა ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ბაზარზე ვაშლის მიწოდება სექტემბრის მეორე ნახევრიდან იწყება, პიკს კი სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში აღწევს.

2014 წლის მონაცემების მიხედვით, საექსპორტო ბაზრები რუსეთი, ყაზახეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი იყო, საიმპორტო ბაზრები კი — თურქეთი, ნიდერლანდები, ირანი, საბერძნეთი.

საექსპორტო ბაზრებზე ექსპორტის ყველაზე დიდი წილი — 45% სომხეთზე, 29% — რუსეთზე, 17% — ყაზახეთზე, ხოლო 9% აზერბაიჯანზე მოდის.

საიმპორტო ბაზრებს შორის იმპორტის 47%-ს თურქეთი იკავებს, 26%-ს — ნიდერლანდები, 8-8%-ს ირანი და საბერძნეთი, დანარჩენ ქვეყნებს კი იმპორტის მთლიან მოცულობაში 11% უჭირავს.

2014 წლის განმავლობაში 1 კგ ვაშლის საცალო ფასები ბაზარზე 1,5 ლარიდან 1,8 ლარამდე მერყეობდა. ყველაზე ხშირად 1.6 ლარი დაფიქსირდა. ამ ფასად ვაშლის შეძენა ბაზარზე თებერვალში, მარტში, აპრილში, მაისსა და ივლისში შეიძლებოდა. ყველაზე მაღალი საცალო ფასი 2014 წელს ოქტომბერსა და დეკემბერში — 1.8 ლარი დაფიქსირდა.

ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც 2015 წლის იანვარ-თებერვალში არსებული მონაცემების საფუძველზეა გაანგარიშებული, ვაშლის შემთხვევაში ასე გამოიყურება: 1 ჰა ფართობზე (ბაღი) საწყისი საინვესტიციო კაპიტალი 30.880 ლარია. უკუგების პერიოდი — მე-4 წელი. რენტაბელობის შიდა ნორმა (8 წელი) კი — 44%.

პრიორიტეტული პროდუქტების ნუსხაში, ვაშლის გარდა, თხილის, მოცვის, ბლის, მანდარინის, ატმის, ხურმის, კიტრის, პომიდვრის, ხახვის, სტაფილოს, მწვანილის, კარტოფილის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის, ღორის ხორცის, ფრინველის ხორცის, მტკნარი წყლის თევზის, რძის პროდუქტების, თაფლის, ჩაისა და ხორბლის წარმოება მოხვდა. ბიპიენი

# კომერციულ ბანკებში 1 დოლარი 2.39-დან 2.48 ლარამდე ღირდა

გუშინ, 9 სექტემბერს, კომერციულ ბანკებში 1 დოლარის ღირებულება 2.39-დან 2.48 ლარამდე მერყეობდა.

ლარის კურსის შესახებ ინფორმაცია ბანკებს საკუთარ ვებგვერდზე ჰქონდათ განთავსებული.

საქართველოს ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 1 დოლარის ყიდვა მომხმარებელს 2.48 ლარად შეეძლო, ხოლო გაყიდვა — 2.36 ლარად.

თიბისი ბანკში 1 დოლარის შეძენა 2.4350 ლარად იყო შესაძლებელი, გაყიდვა — 2.3800 ლარად.

ფინკა ბანკში 1 დოლარის ღირებულება 2.3960 ლარი იყო, ხოლო მისი ჩაბარების შემთხვევაში მომხმარებელი 2.3700 ლარს მიიღებდა.

ლიბერთი ბანკში 1 დოლარი 2.4700 ლარი ღირს, ხოლო მისი გაყიდვა 2.3700 ლარადაა შესაძლებელი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ერთი დოლარის შეძენა 2.3876 ლარად არის შესაძლებელი.

ბიპიენი

# ლუფთჰანზას“ პილოტების გაფიცვის შედეგად 1.000-ზე მეტი რეისი გაუქმდა

გერმანული ავიაკომპანია „ლუფთჰანზას“ პილოტები მეორე დღეა გაფიცულები არიან.

პროტესტის შედეგად 1.000-ზე მეტი ავიარეისი გაუქმდა, მათ შორის კონტინენტთაშორისი ფრენებიც. დაზარალდა 140.000 მგზავრი. ეს „ლუფთჰანზას“ რიგით მე-13 გაფიცვაა.




პროფკავშირების წარმომადგენლები არსებულ სატარიფო შეთანხმებას ეწინააღმდეგებიან. ამას გარდა, პილოტები საპენსიო ასაკის გაზრდას აპროტესტებენ. კერძოდ, იგეგმება საპენსიო ასაკის 59-დან 61 წლამდე გაზრდა. ამ დრომდე პილოტების გაფიცვების შედეგად მილიონზე მეტი მგზავრი დაზარალდა.

8.000-მდე რეისი კი გაუქმდა. პილოტების პროტესტის გამო, კომპანიის ფინანსურმა ზარალმა 300 მილიონ ევროს მიაღწია.

ბიპიენი

# მამულიჩა ციხიდან 15.000 ლარად გამოუშვეს

## „ჩემი ნარკოტიკი არის ჩემი მეგობრები, ოჯახი და ლელა წურწუმია, რომელსაც უკეთესი მამულიჩა ეკუთვნის“

გუშინ, 9 სექტემბერს, ნარკოდანაშაულში ბრალდებული პროდიუსერი კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩა, 15.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

მამულაშვილის წინასასამართლო სხდომა სასამართლოში 13:00 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა მისი ახლობლები, მათ შორის ძმა, შვილი და მეგობრები მე-12 დარბაზთან პროცესის დაწყებას თითქმის ერთი საათი ელოდებოდნენ.

საქმის პროკურორმა, გიორგი დავითაშვილმა პროცესამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა, რომ სხდომა გადაიდებოდა და შენობა დატოვა.

დაახლოებით ნახევარ საათში პროკურორი დავითაშვილი კვლავ გამოცხადდა მე-12 დარბაზში და მოსამართლე დავით კურტანიძის თანაშემწესთან მივიდა. ამის შემდეგ, სხდომათა დარბაზიდან კვლავ გავიდა, თანაშემწეც დარბაზიდან ახსნა-განმარტების გარეშე გავიდა.

ამ პერიოდში, ბრალდებულის ახლობლებთან და რამდენიმე ჟურნალისტთან ერთად, დარბაზში იმყოფებოდა საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის ორი წარმომადგენელი, თუმცა მათ მედიისთვის არ უცნობებიათ, რატომ ჭიანურდებოდა პროცესი.

ცოტა ხანში გაირკვა, რომ კახა მამულაშვილი მეორე სართულზე, მე-18 დარბაზიდან ისე გაათავისუფლეს, რომ მედიის არც ერთ წარმომადგენელს მის პროცესზე დასწრების შესაძლებლობა არ მიეცა.

მამულაშვილის გათავისუფლების შესახებ ჟურნალისტებმა მას შემდეგ გაიგეს, რაც იგი სასამართლოს ეზოში, ავტომობილში ჯდებოდა.

„ინტერპრესნიუსი“ სასამართლოს პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც განმარტეს, რომ მამულაშვილის საქმეზე წინასასამართლოს სხდომის სხვა დარბაზში გამართვის მიზეზი ტექნიკური პრობლემა გახ-



კახა მამულაშვილს ჩამოერთვა პასპორტი და პირადობის მოწმობა

და, კერძოდ, მე-12 დარბაზში არ მუშაობდა მიკროფონი, რის გამოც სხდომა ჩატარდა მე-18 დარბაზში.

ამასთან, „ინტერპრესნიუსის“ შეკითხვაზე, რატომ არ აცნობეს ჟურნალისტებს სხვა დარბაზში სხდომის გადატანის შესახებ, განმარტეს, რომ ამის შესახებ თავადაც არ იცოდნენ.

— ჩემი ნარკოტიკი არის ჩემი მეგობრები, ოჯახი და ლელა წურწუმია, რომელსაც უკეთესი მამულიჩა ეკუთვნის, — განაცხადა კახა მამულაშვილმა გუშინ, როდესაც საქალაქო სასამართლოში დოკუმენტზე ხელის მოწერის მიზნით ადვოკატთან ერთად მივიდა.

კითხვას, რა მოტივით მოხდა მისი გათავისუფლება, მამულაშვილმა ასე უპასუხა:

— საზოგადოებისთვის საშიში აღარ ხარო, მითხრეს და გირაოთი გამომიშვეს.

მთავარ პროკურატურაში ამბობენ, რომ დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა აღმკვეთი ღონისძიების, პატიმრობის, გირაოთი შეცვლა. სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა და ბრალდებულ კახა მამულაშვილს პატიმრობა 15.000 ლარის ოდენობით გირაოთი შეუცვალა.

— მამულაშვილს დამატებითი ღონისძიების სახედ დაევალა პასპორტის და პირადობის მოწმობის ჩაბარება, ასევე 10 დღეში ერთხელ სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადების ვალდებულება. გრძელდება საქმის არსებითი განხილვა და მორიგი სასამართლო პროცესი 23 სექტემბერს არის ჩანიშნული, — განაცხადეს მთავარ პროკურატურაში.

კახა მამულაშვილს გირაოს გადახდის ვადად 10 დღე განესაზღვრა.

კახა მამულაშვილი სამართალდამცავებმა 18 ივლისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკის დროს ხელბარგიდან და პირადი საფულიდან ამოიღეს სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალებები, კერძოდ, საქმეზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებებია: 5.591 გრ კოკაინი, 1,15 გრ კანაფის ფისი და მდმ ე.წ. „ექსტაზი“ 0,2048 გრ.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით).



## შინაგან საქმეთა მინისტრი ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ისრაელის სახელმწიფოს ელჩ იუვალ ფუქსთან გაცნობითი შეხვედრა გამართა.

მინისტრმა ბატონ ფუქსს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმები და ინიციატივები გააცნო. მხარეებმა საქართველოსა და ისრაელს შორის სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობისა და მისი გაღრმავების შესაძლებლობების შესახებ ისაუბრეს. ასევე განიხილეს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ისრაელის მხარესთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ურთიერთთანამშრომლობის პროგრამა და მის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები.

## შსს–მ 1 კილოზე მეტი თხევადი კოკაინი და 1 კილო და 220 გრამი კოკაინის ფხვნილი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებამ, მის მიერ გამოვლენილი ნარკოტრანზიტის მარშრუტის გავლით საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის მორიგი ფაქტები აღკვეთა.

აღნიშნულმა განყოფილებამ, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, კოლუმბიის რესპუბლიკის მოქალაქე, 1971 წელს დაბადებული დელია ქსიომარა რ. და ბრაზილიის ფედერაციის მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული პრისილა სილვა ლ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა სან პაულოდან დუბაის გავლით, დუბაი-თბილისის რეისით საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება კოკაინი შემოიტანეს. სამართალდამცველებმა დელია ქსიომარა რ-ს პირადი ჩხრეკისას 1 კილო და 0,75 გრამი თხევადი კოკაინი, ხოლო პრისილა სილვა ლ-ს პირადი ჩხრეკისას 1 კილო და 220,37 გრამი კოკაინის ფხვნილი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

## პატრულმა მტკვარში გადამხტარი ქალი გადაარჩინა

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში მოქალაქემ დარეკა და ოპერატორს შეატყობინა, რომ მცხეთაში იმყოფებოდა და მდინარე მტკვარში თვითმკვლელობის მიზნით გადახტომას აპირებდა.

„112“-ის ოპერატორი ყველანაირად ცდილობდა მოქალაქეს საუბარი არ შეეწყვიტა და მასთან ესაუბრა, ამშვიდებდა მას, პარალელურად კი, აღნიშნული შეტყობინების შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს აცნობა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 704-ე ეკიპაჟის პატრულ-ინსპექტორები — გიორგი ხაბალაშვილი და გიორგი ლეჟავა შეტყობინების მიღებისთანავე მითითებულ ადგილზე გამოცხადდნენ. 1985 წელს დაბადებული მარინა ჭ. პოლიციელების დანახვისთანავე მდინარე მტკვარში გადახტა, რაზეც ორივე პატრულ-ინსპექტორმა ოპერატიულად მოახდინა რეაგირება და ქალის საშველად მდინარეში გადახტნენ.

პატრულებმა წყლიდან ამოიყვანეს უგონო მდგომარეობაში მყოფი ქალი, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ მცხეთაში, საავადმყოფოში გადაიყვანა.

მარინა ჭ-ს საავადმყოფოში მიყვანისთანავე გაეწია გადაუდებელი დახმარება. ამ დროისთვის მის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.

# კურტ ვოლკერი: რუსეთთან სიფრთხილეა საჭირო, მაგრამ საქართველო პასიური არ უნდა იყოს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

იმედი აქვთ, რომ ევროპა ამ პრობლემებს მოაგვარებს, ასევე იმედოვნებს, რომ უფრო უარესი არ მოხდება და კიდევ უფრო უარეს რაღაცაში არ გადაიზრდება. ამისათვის კი ბევრს არაფერს აკეთებენ.

გარდა ამისა, არსებობს ილუზია იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი შესაძლოა, სასარგებლო მხარე იყოს, მაგალითად, ირანის, იგივე სირიის საკითხებში. მეტიც, გარკვეული ძალისხმევაც იხარჯება იმაზე, რომ ამ თემებზე საუბრები გაგრძელდეს და გაღრმავდეს.

რეალობა კი ასეთია — რუსეთი თავისი ინტერესების სფეროში ტრიალებს, მათი დაცვისათვის მოქმედებს და სულაც არ ფიქრობს იმაზე, რაც შესაძლოა, საერთო ინტერესებში იყოს.

რაც შეეხება მარიუპოლის სავარაუდო აღებას, მოვლენათა განვითარების სავარაუდო მოდელი ასეთია — ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, რომ არ გააკეთოს ის, რასაც აკეთებს. შემდეგ რუსეთი უარყოფს, რომ ასეთ რამეს სჩადის, შემდეგ ჩვენ მოვუწოდებთ, რომ შეწყვიტოს საომარი მოქმედებები და გაჩერდეს.

თუ რუსეთი გაჩერდა, იგი შეინარჩუნებს იმას, რაც სამხედრო ძალის გააქტიურებით მოიპოვა და თავისი კონტროლი დააწესა. ამის შემდეგ, ყველა დროებით ამოისუნთქებს. ეს იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ისევ ამგვარ ავანტურას არ წამოიწყებს.

***— როგორ დაახასიათებდით საქართველო-ნატოსა და აშშ-სა და საქართველოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობას?***

— აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები საკმაოდ კარგია. ბუშის ადმინისტრაციას საქართველოს ხელისუფლებასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა. ობამას ადმინისტრაციის პირობებში ურთიერთობების ისეთი მაღალი ინტენსივობა, როგორც ეს ბუშის დროს იყო, არაა.

იყო პერიოდი, როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო, ამერიკაში გადაჭარბებულ რეაქციებს ჰქონდა ადგილი სააკაშვილის კრიტიკაზე, მაგრამ ეს გარკვეულწილად უკვე გამოსწორდა.

ასევე უფრო მეტი სიცხადეა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობას უნდა ევროატლანტიკური მომავალი. ეს კი ქმნის ძალიან ბევრ საერთო პლატფორმას იმისათვის, რომ საქართველომ და ამერიკამ იმუშაონ ერთად.

როგორც გენერალმა ჰოდჯესმა განცხადება, ჩვენ საქართველოში დაგეგმილი გვაქვს ძალიან კარგი სამხედრო წვრთნები, რომლებიც მომავალი წლის მაისში გაიმართება. მისი მიზანია, გააფართოოს და უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადოს სამხედრო სფეროში აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობა.

რაც შეეხება ნატო-საქართველოს თანამშრომლობას.

უელსის სამიტზე ძალიან კარგ პაკეტზე შეთანხმდნენ. იგი ეხებოდა ერთობლივ საქმიანობას და აქტივობების გაფართოებას, ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში საქართველოსთვის ეროვნულ წლიურ გეგმას.

ეს ძალიან კარგი გეგმაა და ეტაპობრივად ხორციელდება. იმედი მაქვს, რომ როგორც საქართველო, ისე ნატო განაგრძობენ მის განხორციელებას. ახალი არაფერი ისმის ნატო-ს გაფართოების თემაზე, იგივე MAP-ზე, ანუ წევრობის სამოქმედო გეგმაზე. არა მგონია, ამ მიმართულებით რაიმე შეიცვალოს და ახალი მოხდეს მომავალი ერთი წლის განმავლობაში. ამ საკითხში დასავლეთის სიფრთხილე უკავშირდება რუსეთს.

დასავლეთი ცდილობს, რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში პროვოკაციის საშუალება არ მისცეს. ამით აიხსნება ამ საკითხში დასავლეთის სიფრთხილე და თავად საქართველოს ფაქტორს არ უკავშირდება. მაგრამ, თუ ნატო და საქართველო ერთობლივად განაგრძობენ პრაქტიკულ სფეროში თანამშრომლობას, ეს დაეხმარება საქართველოს, რომ მომავალში მივიდეს MAP-მდე და რა მომენტშიც კი ნატო იქნება მზად, საქართველო ამას უფრო მომზადებული შეხვდება.



რუსეთს ესმის, რა არის ძალა და გრძნობს ამ წინააღმდეგობას, მაგრამ იქ, სადაც წინააღმდეგობას არ აწყდება, წინ მიდის. არ მიმაჩნია, რომ ამერიკის ადმინისტრაცია რუსეთთან მიმართებაში დათმობების პოლიტიკას ატარებს, მაგრამ არც ის მგონია, რომ იგი ძალიან ცდილობს, გაურთულოს ცხოვრება რუსეთს და მას გადაულახავი წინააღმდეგობები შეუქმნას.

***— აშშ-ის სარდალმა ევროპაში თბილისში გამართულ კონფერენციაზე განაცხადა — „უნდა გამოვცადოთ, რამდენად სწრაფად მოვახდენთ რეაგირებას საჭიროების შემთხვევაში“.***

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ამერიკელი გენერლის ეს განცხადება „ძალიან მნიშვნელოვნად“ მიიჩნია. ხიდაშელისვე მტკიცებით „რუსეთის აგრესია დღითიდღე მატულობს“ და რუსეთს გორი-თბილისის ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვა 15-20 წუთში შეუძლია, ცოტა გულუბრყვილოდ ხომ არ გამოიყურება მტკიცება, რომ ამერიკული სარდლობა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოსათვის დახმარების შესაძლებლობას რუსეთის შესაძლო აგრესიის შემდეგ განიხილავს?

— ორივე ნაწილში გეთანხმებით. რომ შევხედოთ გეოგრაფიას, არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციალს, ეს იქნება საქართველო, ესტონეთი, ლიტვა თუ ლატვია, რუსეთს შეუძლია, ძალიან სწრაფად იმოქმედოს და ასეთ შემთხვევაში ნატო მართლაც ვერ შეძლებს ძალიან სწრაფ რეაგირებას.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ჩვენს შესაძლებლობებს, ჯარის მცირე ნაწილების ადგილზე ყოფნას, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, საშუალებებს და ჩვენ ამას პრაქტიკაში გავივარჯიშებთ, მაშინ ჩვენ გავაძლიერებთ და გავზრდით ნატო-ს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად სწრაფად განახორციელოს რეაგირება და მნიშვნელოვნად გაიზარდოს რეაგირების ეფექტიანობა.

რუსეთმა ეს აუცილებლად უნდა მიიღოს მხედველობაში და გაითვალისწინოს. მთავარი არ არის ის, თუ რა მოხდება კრიტიკულ ვითარებაში პირველი 15-20 წუთის განმავლობაში. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მოხდება ერთი ან ორი, ანაც სამი დღის განმავლობაში.

კობა ბენდელიანი
*„ინტერპრესნიუსი“*

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და არაოპერაციულ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარიგებულებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცარია და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# უკრაინის ახალი სამხედრო დოქტრინა

## რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე უახლოესი მომავლის პერსპექტივაა

უკრაინის ახალმა სამხედრო დოქტრინამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია. ევროპაში მას ფრთხილი გამოხმაურებები მოყვა, აქაოდა მეტისმეტად მკვეთრიაო. აშშ დოქტრინის შემუშავებას მიესალმა, რუსეთში კი ნამდვილი ისტერიკა დაიწყო:

— უკრაინელები ვერ ხვდებიან, რომ ჩვენ შეგვიძლია ისინი ხოჭოებივით გავსრისოთ და ვერავითარი სამხედრო დოქტრინა ვერ უშველით, —განაცხადა ცნობილმა ოდიოზურმა ტელეწამყვანმა სოლოვიოვმა.


უკრაინის უშიშროების საბჭო

### დაგვიანებული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი

1991 წელს უკრაინამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ უკრაინის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა კონსტანტინე მოროზოვმა პრეზიდენტ კრავჩუკს მოახსენა: სამხედრო დოქტრინა შემუშავებულია და მზადა ვართ, რათა ის უშიშროების საბჭოზე წარვადგინოთო. კრავჩუკმა თავდაპირველად დოქტრინა მოიწონა, მაგრამ მოსკოვიდან ზარის შემდეგ პოზიცია შეიცვალა.

— საიდუმლო არაა, რომ რუსეთს უკრაინაში აგენტურის ფართო ქსელი გააჩნია. მათ შორის გავლენის აგენტებიც არიან. ერთ-ერთი მათგანი კრავჩუკს ჯიუტად არწმუნებდა, მოროზოვის დოქტრინაზე უარი თქვი, რადგანაც ეს რუსეთთან კონფრონტაციას გამოიწვევსო, — აცხადებს უკრაინის სამხედრო დაზვერვის ექსშეფი, გენერალი ალექსანდრე სკიპალსკი.

მოროზოვის დოქტრინაში ნათქვამი იყო, რომ უკრაინის შესაძლო მოწინააღმდეგე რუსეთია. შესაბამისად, ქვეყანაც რუსეთთან სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური დაპირისპირებისათვის უნდა მოემზადოს. კრავჩუკი ამას მთლიანად დაეთანხმა. პოზიცია მან მხოლოდ ელცინთან შეხვედრის შემდეგ შეცვალა. მალე გენერალი მოროზოვი თანამდებობიდან გადადგა. შემდგომშიც უკრაინელი სამხედროები არაერთგზის სთავაზობდნენ ხელისუფლებას, უკრაინის სამხედრო დოქტრინაში დაფიქსირებულიყო, რომ მთავარი მტერი რუსეთია. თვით დონბასის ომის დაწყების შემდეგაც კი ხელისუფლება ამისგან თავს იკავებდა.


უკრაინელი ტანკისტები

— მათი არგუმენტი შემდეგი იყო: ამით საქმეს ვერ ვუშველით და მხოლოდ რუსეთს გავაღიზიანებთ, — აცხადებს პატრიოტული ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერი დმიტრო იაროში.

ხალხი კი დაბეჯითებით მოითხოვდა, რათა ხელისუფლებას ქვეყანა რუსი აგრესორებისაგან დაეცვა. პოროშენკომაც ბოლო-ბოლო დაგვიანებული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი გადადგა.

### ახალი სამხედრო დოქტრინის ძირითადი მიმართულებები

ახალი სამხედრო დოქტრინის უმთავრესი მახასიათებელია ის, რომ მასში პირდაპირ და გარკვევითაა ნათქვამი: რუსეთი წარმოადგენს მტრულ სახელმწიფოს, რომელიც აწარმოებს ომს უკრაინის წინააღმდეგ და რომელმაც უკრაინის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპაცია მოახდინა. სამხედრო პირებისათვის ჩვეული ლაკონიურობით განსაზღვრულია, რომ უნდა ყველაფერი გაკეთდეს საიმისოდ, რათა ოკუპირებული ტერიტორიები უმოკლეს ვადაში იქნან გათავისუფლებული. მეორე უმთავრესი მომენტია ის, რომ იმ რისკ-ფაქტორებს შორის უპირველესი ადგილი რუსეთს უჭირავს, კერძოდ, სახეზეა რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომის რეალური საფრთხე, როცა გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნიკა (თვითმფრინავები, რაკეტები, ავიაცია და ა.შ.). შესაბამისად უკრაინული სახელმწიფო უნდა იყოს მზად, რათა ასეთი ფართომასშტაბიანი შეტევა მოიგერიოს. დოქტრინაში ჩამოთვლილია კონკრეტული ზომები, რომელთა გატარებაც აუცილებელია, რათა უკრაინა მტრის დარტყმას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს.

ახალ უკრაინულ დოქტრინაში დიდი ადგილი უჭირავს ანალიზს იმ ფსიქოლოგიური ოპერაციებისა, რომელთაც რუსეთი ე.წ. „ჰიბრუდული ომის“ პერიოდში ინტენსიურად იყენებდა. სამწუხაროდ, უკრაინულმა სახელმწიფომ მაშინ ამას ვერაფერი დაუპირისპირა, რომ არა უკრაინელი ხალხის სიბრძნე, შედეგები შესაძლოა უმძიმესი ყოფილიყო.

— როცა დონეცკის აეროპორტის შტურმი დაიწყო, რუსულმა მედიამ გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს აეროპორტი უკვე აღებულია, უკრაინული არმიის უფროსობა იქიდან გაიქცა, დარჩა მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც სარდაფშია გამაგრებული და რომელსაც დონბასელმა მოლაშქრეებმა ულტიმატუმი წაუყენეს: თუკი ნახევარ საათში არ დაგვნებდებით, ცოცხლად დაგწვავთო, — აცხადებდა სკიპალსკი.

ეს „დეზ“-ა ზოგიერთმა უკრაინულმა მედია-საშუალებამაც აიტაცა. ამრიგად სახელმწიფომ ამას ვერაფერი დაუპირისპირა. საბედნიეროდ ხალხი ბრძენი გამოდგა და პანიკას არ აყვა. მეორე დღეს კი გაირკვა, რომ მოხდა პირიქით. აეროპორტზე იერიში მოგერიებულია, მტერმაც უდიდესი დანაკარგი განიცადა. ახალ სამხედრო დოქტრინაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ აუცილებელია რეალური კონტრზომების შემუშავება, რათა ძირგამომთხრელი პროპაგანდა განეიტრალდეს.

— ახალი სამხედრო დოქტრინის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ის, რომ მასში ცალსახადაა ნათქვამი: უკრაინის უბლოკო სტატუსს ბოლო მოეღო და ქვეყანა ნატოში გაწევრიანებისაკენ მიისწრაფვის, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

2015 წელს ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, უკრაინელთა 64 პროცენტი ნატოში გაწევრიანების მომხრეა. უკვე გამოიკვეთა კონტურები ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაწევრიანებისათვის, თუმცა საამისოდ საკმაო გზის გავლაა აუცილებელი. ის ფაქტი, რომ უკრაინის სწრაფვა ნატოსკენ უკვე სამხედრო დოქტრინაშია დაფიქსირებული, ხოლო მოსახლეობა ამას მხარს უჭერს, ნატოსაკენ მიმავალ გრძელ გზას საგრძნობლად ამოკლებს.

### მდგომარეობა დონბასში

დონბასში მომხდარი გადატრიალების შემდეგ რეგიონში მდგომარეობა შეიცვალა. უკრაინის თავდაცვის მინისტრის, გენერალ პოლტორაკის ცნობით, სროლები მკვეთრად შემცირდა. მტერი უკვე აღარ იყენებს ქვემეხებს, ტანკებს და უკრაინულ პოზიციებს ცეცხლს ძირითადად ავტომატური იარაღიდან უხსნის.

— უკანასკნელი დღე-ღამის მანძილზე სეპარატისტებმა ჩვენს პოზიციებს ცეცხლი მხოლოდ ხუთჯერ გაუხსნეს, — ამბობს პოლტორაკი.

ამავე დროს დონბასში არ წყდება პროვოკაციები. გასული დღე-ღამის მანძილზე სეპარატისტებმა სოფელ შიროკინოსთან თავიანთი პოზიციები დაბომბეს და შემდეგ მომხდარში უკრაინელები დაადანაშაულეს. მსგავსი რამ მოხდა ავდეევკასთან, სჩასტიესთან. ექსპერტების აზრით, რუსეთმა ტაქტიკა შეცვალა. ახლა აქცენტი უკრაინის დანარჩენ რეგიონებში დესტაბილიზაციაზე იქნება გადატანილი.

— თუკი რუსეთმა დესტაბილიზაციის აგორება შეძლო, ის შეეცდება თავს მოგვახვიოს დონბასის დაბრუნების პუტინისეული სქემა, ანუ დონბასს ერთიანი უკრაინის ფარგლებში ფართო ავტონომია ექნება. თუკი პუტინმა თავის მიზნებს ვერ მიაღწია, ის შეეცდება კონფლიქტი მოყინოს, — აცხადებს ექსპერტი ფისენკო.


უკრაინელი მედესანტეები

### ომი გარდაუვალია?!

რუსების აგვისტოს შეტევა მარცხით დასრულდა. ნათლად გამოჩნდა, რომ „ჰიბრიდული ომით“ უკრაინასთან კრემლი ვერაფერს გახდება. ასევე არ გამართლდა გათვლები იმის თაობაზე, რომ უკრაინაში სოციალური აფეთქება მოხდებოდა. დასავლეთის მხარდაჭერის შედეგად უკრაინამ თავიდან აიცილა დეფოლტი. სახელმწიფო ინსტიტუტები ფუნქციონირებენ და დღითიდღე ძლიერდებიან. მოსკოვსაც ორი გამოსავალი დარჩა: ან დონბასის დატოვება და უკრაინის პროდასავლურ კურსთან შეგუება, ან ფართომასშტაბიანი ომი.

— დღესდღეობით რუსეთი ისე არ დასუსტებულა, რომ დონბასი დატოვოს ან უკრაინის პრო-დასავლურ კურსს შეეგუოს, — წერს ფისენკო.

გამომდინარე აქედან, რჩება ფართომასშტაბიანი ომი, თუმცა დღეისათვის რუსეთი საამისოდ არც სამხედრო, არც ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მზად არ არის. მართალია, რუსეთ-უკრაინის საზღვარზე 52 000-იანი რუსული არმიაა კონცენტრირებული, მაგრამ ფართომასშტაბიანი ინტერვენციის საფრთხე არა დღევანდელი დღის, არამედ უახლოესი მომავლის საქმეა. უკრაინაც მომავალი ომისათვის ემზადება. ამისი ნიშანი უკრაინის უშიშროების საბჭოს მიერ ახალი სამხედრო დოქტრინის მიღებაა.

**ნიკა თევზაძე**


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### მკურნალობა

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ყველა ზომის „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# საქართველო საბერძნეთთან ერთ ტაიმში დამარცხდა

**საქართველო – საბერძნეთი**
**(15:25; 7:25; 26:11; 20:18)**

**საქართველო:** ცინცაძე (4ქ), მარკოიშვილი (11ქ), სანიკიძე (10ქ), შენგელია (20ქ,8მ), ფაჩულია (4ქ); პულენი (4ქ), შერმადინი (9ქ), ფაცაცია, ბურჯანაძე (3ქ), სანაძე (2ქ), ლეჟავა, მეტრეველი

**საბერძნეთი:** ბურუსისი (4ქ), ზისისი (11ქ), სპანულისი (2ქ), კალატესი (19ქ,8პ), სლუკასი (3ქ), კაიმაკოღლუ (8ქ), კუფოსი (12ქ), პრინტეზისი (3ქ), პაპანიკოლაუ (5ქ), ანტეტოკომპო (12ქ), მანთზარისი, პერპეროღლუ

საქართველოს ნაკრებს მთელი ყურადღება მაკედონიის მატჩისკენ აქვს გადატანილი, ამიტომაც ბერძნებთან მატჩს არც სპეციალისტები აქცევდნენ დიდ ყურადღებას. მაკედონიელებთან თამაშს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საქართველოს საბერძნეთი რომც დაემარცხებინა, თუკი მაკედონიას ვერ მოუგებენ, ჯგუფიდან ვერ გავლენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრების თამაში პირველ ტაიმში საშინელი სანახავი იყო და რა კუთხითაც არ უნდა მიუდგე მატჩს, ის რაც საქართველოს ნაკრებს დაემართა, სრული კატასტროფა იყო.

მატჩის დებიუტში ქართველებმა სახელოვანი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ საბერძნეთს ტოლი არ დაუდეს. თორნიკე შენგელიას, ვიქტორ სანიკიძისა და ზაზა ფაჩულიას ქულებით იგორ კოკოშკოვის გუნდი 8:5 დაწინაურდა. ბერძნების მწვრთნელმა ფოტის კაციკარისმა წუთშესვენება აიღო და შეგირდებს დავალებები მისცა.

მოედანზე დაბრუნებული ბერძნები ისე ათამაშდნენ, ორიოდ წუთში ქართველების მწვრთნელს დასჭირდა წუთშესვენების აღება. მეტოქემ შორიდან სამიზნე გაისწორა – ნიკ კალატესმა და კოსტას კაიმაკოღლუმ სამიანები, ნიკოს ზისისმა კი საშუალო და ახლო სროლები ჩააგდო, რის შემდეგაც ელადელების უპირატესობამ 10 ქულას გადააჭარბა. მანუჩარ მარკოიშვილის სირენის თანხლებით ჩაგდებულმა სამქულიანმა პირველი მეოთხედის ბოლოს ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირა – 15:25.

მეორე მეოთხედში მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყდა. საბერძნეთის ნაკრების კალათბურთელებმა სწრაფი და ზუსტი თამაშით სხვაობა 28 ქულამდე გაზარდეს – საქართველომ პერიოდი 7:25 წააგო, რაც ძირითადად კალატესის (16 ქულა), ზისისის (11) და ანტეტოკომპოს (10) დამსახურება იყო. პირველ ტაიმში ბერძნებმა 12-დან 9 სამქულიანი ჩაგვიგდეს, რის შემდეგაც წარმატებულ თამაშზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო.

მეორე ტაიმს პრინციპული მნიშვნელობა დაეკარგა. მეორე ტაიმში იგორ კოკოშკოვმა სასტარტო ხუთეულით გააგრძელა თამაში. ქართველებმა გუნდური თამაშის წყალობით სიტუაცია გამოაკეთეს და მესამე მეოთხედის საწყის 5 წუთში 11 ქულა გაქვითეს – 38:55. აღნიშნულ ეპიზოდში შედეგიანად ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ, რომელმაც 8 ქულა მიითვალა. მალე შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს დუდა სანაძემ და გიორგი შერმადინმა, რომელმაც ამ უკანასკნელის ეფექტურად ჩაგდებული ბურთის შემდეგ სხვაობა 15 ქულამდე შემცირდა – 40:55. ცხადია, ბერძნებმა წუთშესვენება აიღეს, თუმცა დარჩენილ 2 წუთში ვერაფერი მოახერხეს – საქართველომ მესამე მეოთხედი 26:11 მოიგო და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ მხოლოდ 13 ქულას აგებდა – 48:51.

ქართველებს წარმატების იმედი ჩაესახათ, ეს განცდა მას შემდეგ უფრო გაძლიერდა, რაც ჩამორჩენა 11 ქულამდე შევამცირეთ, მაგრამ ჯგუფის ერთპიროვნულმა ლიდერმა ბერძნებმა წაფორხილება არ დაუშვეს და შეხვედრა გამარჯვებამდე დიდი გართულებების გარეშე მიიყვანეს. საინტერესოა, რომ ქართველებმა იგივე ანგარიშით წააგეს ბერძნებთან, როგორც სლოვენიელებთან წინა მატჩი – 68:79.



საქართველოს ნაკრებს ძალიან პრინციპული მატჩი ელის მაკედონიასთან. თუკი კოკოშკოვის გუნდი მეტოქეს 5 ქულით დაამარცხებს, დიდი შანსია, ჯგუფიდან გავიდეს, რადგან თითო მოგების მქონე სამ გუნდში (ჰოლანდია, მაკედონია, საქართველო), კოკოშკოვის გუნდს ბურთების საუკეთესო შეფარდება ექნება. ოღონდ ერთი პირობით: ბოლო ტურში მაკედონიამ სლოვენია ვერ უნდა დაამარცხოს, ხოლო ჰოლანდიამ – საბერძნეთი.

მაკედონიის ნაკრებმა ჩვენც გვარიანად გვანერვიულა და ხორვატიის ნაკრებიც, თუმცა ეს მხოლოდ პირველ ტაიმში. მაკედონიელები 2 ქულას უგებდნენ მასპინძლებს. შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა – ხორვატიამ მთელი რესურსი აამუშავა და მატჩის ბედი ვადაზე ადრე გადაწყვიტა, რის შემდეგ მაკედონიამ ჩვენთან მატჩისთვის ძალების შენახვა გადაწყვიტა. ხორვატებმა 73:55 იმარჯვეს.

დიდი ნაბიჯი გადადგა პლეი ოფისკენ სლოვენიამ, მაგრამ ნერვიულობა არც ამჯერად აგვცდა. იყო მომენტი, როდესაც ჰოლანდიელები ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს და მატჩის ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა, სადაც სლოვენიელთა ოსტატობამ თავისი გაიტანა – 81:74.

**იგორ კოკოშკოვი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– თუ არ ჩავთვლით საწყის წუთებს, საბერძნეთის ნაკრები პირველ ტაიმში მოედანზე მარტო თამაშობდა. ჩვენ ვერ შევძელით მათი შორი სროლებისგან თავი დაგვეცვა. სამწუხაროდ, ბერძნები ხშირად რჩებოდნენ პერიმეტრზე თავისუფლები და სამქულიანები რომ წარმატებით ესროლეს, ამის ბრალიც არის. ცუდი პირველი ტაიმის შემდეგ მეტოქეს საკადრისი პასუხი გავეცით და ვითარება გამოვასწორეთ. ეს კარგი იყო როგორც ფსიქოლოგიურად, ისე სათამაშო კუთხით, რადგან მთავარი ბრძოლა მაკედონიასთან გველის. ბიჭებმა ირწმუნეს, რომ ბრძოლა შესაძლებელია, გუნდმა მეორე ტაიმში კარგი კალათბურთი ითამაშა და იმედი მაქვს, მაკედონიელებთან ყველა საკუთარ მაქსიმუმს აჩვენებს.

**გიორგი შერმადინი, საქართველოს ნაკრების მოთამაშე:**

– ჩვენ ვითამაშეთ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან. საბერძნეთი, ჩემი აზრით, ოქროს მედლების მოგების ერთ-ერთი კანდიდატია. ძალიან რთული იყო წარმატებაზე ფიქრი, თუმცა მეორე ტაიმში გამოვაჩინეთ ჩვენი ძალა და იმედი იმისა, რომ მაკედონიელებთან წარმატებას მივაღწევთ, გაგვეზარდა. მაკედონიასთან დიდი ბრძოლა გველის და თუ შედეგიანად ვითამაშებთ, შანსი გვაქვს, პლეი ოფში გავიდეთ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.საბერძნეთი | 3 | 0 | 236-203 | 6 |
| 2.ხორვატია | 2 | 1 | 223-200 | 5 |
| 3.სლოვენია | 2 | 1 | 233-222 | 5 |
| 4.ჰოლანდია | 1 | 2 | 218-231 | 4 |
| 5.მაკედონია | 1 | 2 | 198-229 | 4 |
| 6.საქართველო | 0 | 3 | 208-231 | 3 |

# იტალიამ კლასი გვიჩვენა, გერმანიამ საქმე გაირთულა

ევრობასკეტზე ძალიან საინტერესო მატჩები გაიმართა ბ ჯგუფში, სადაც ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი და ბოლო ორი ტური კიდევ უფრო საინტერესო უნდა გამოდგეს.

**სერბეთი-ისლანდია 93:64**
**(24:16; 18:16; 25:16; 26:16)**

სერბეთი აგრძელებს უდანაკარგო სვლას. ბალკანელებმა ამჯერად ისლანდია დატოვეს უშანსოდ – 93:64.

სერბები სტარტიდანვე ზრდიდნენ უპირატესობას და საბოლოოდ, სოლიდური სხვაობით იმარჯვეს.

**გერმანია-თურქეთი 75:80**
**(11:31; 13:10; 19:19; 32:20)**

გერმანელებმა ძალიან გაირთულეს პლეი ოფში გასვლის საქმე, თუმცა იმედები საბოლოოდ არ გადაუწურავთ. თურქებმა კი ყველაფერი პირველ მეოთხედში გადაწყვიტეს, როდესაც მასპინძლებს 20 ქულით გაასწრეს. გერმანია კი შეეცადა წაგებას თავი დაეღწია, მაგრამ თურქებმა უპირატესობა არ გაანიავეს.

გერმანიას მატჩები ესპანეთთან და იტალიასთან დარჩა. აქედან გამომდინარე აუტსაიდერად მოჩანს.

**ესპანეთი-იტალია 98:105**
**(20:19; 25:23; 18:31; 35:32)**

ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. პირველ ტაიმმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა – ლიდერი 11-ჯერ შეიცვალა, მაგრამ მესამე მეოთხედიდან იტალიელებმა საოცარი მატჩი ჩაატარეს. როდესაც ანგარიში 47:42 იყო ესპანელთა სასარგებლოდ, აპენინელებმა 15:0 გაქცევა მოაწყვეს. ამის ძირითადი შემოქმედი მარკო ბელინელი იყო, რომელმაც მესამე ათწუთეულში 5 სამქულიანი ჩაუგდო მეტოქეს. ამის შემდეგ, აპენინელებმა ახლოსაც არ მიიკარეს მეტოქე.



ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა იტალიელთა ტრიომ გალინარის, ბელინელისა და ბარნიანის შემადგენლობით. მათ ერთად 74 ქულა დააგროვეს. ესპანელთა რიგებში კი მხოლოდ ერთი კალათბურთელის გამოყოფა შეიძლება – პაუ გასოლმა 34 ქულა ჩააგდო და მიმდინარე ევრობასკეტზე შედეგიანობის რეკორდი დაამყარა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სერბეთი | 3 | 0 | 241-200 | 6 |
| 2.იტალია | 2 | 1 | 263-251 | 5 |
| 3.თურქეთი | 2 | 1 | 246-266 | 5 |
| 4.ესპანეთი | 1 | 2 | 272-262 | 4 |
| 5.გერმანია | 1 | 2 | 212-213 | 4 |
| 6.ისლანდია | 0 | 3 | 193-235 | 3 |

# გობაძემ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

ამერიკაში, ქალაქ ლას-ვეგასში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველომ პირველი მედალი მოიპოვა. 8 სექტემბერს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბრინჯაოს პრიზიორი ლაშა გობაძე გახდა (80 კგ), რომელმაც მესამე ადგილისათვის შეხვედრაში ყირგიზი სამატ შირდაკოვი 2:29 წუთში 8:0 დაამარცხა.



ქართველი ფალავანისთვის დაუძლეველი ბარიერი თურქი მსოფლიოს ჩემპიონი სელჯუკ ჩები აღმოჩნდა რომელთანაც ნახევარფინალური დაპირისპირება დათმო 2-4, მანამდე კი დამაჯერებლად დაამარცხა ბერძენი ნიკოლას ვარკასი 11:0, სერბი პეტარ ბალო 11:2, მეოთხედფინალში კი ევროპის თამაშების გამარჯვებულ და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ რუს ევგენი სალეევს 1:53 წუთში სუფთად მოუგო.

ლასვეგასურ ხალიჩაზე მურად მიქელაძე (59), გოგა აფრიამაშვილი (71) და იაკობ ქაჯაიაც (130) გამოვიდნენ, თუმცა პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ და ჩემპიონატს გამოეთიშნენ.

ბერძენ-რომაელთა ბოლო დღეს ვაჟთაგან მხოლოდ 85 კილოგრამის ფალავნები იჭიდავებენ, რომელიც ოლიმპიური წონაა. საქართველოს ნაკრების წევრთაგან მათე სოფაძე იასპარეზებს და პირველ წრეში სამხრეთაფრიკელ დეან ვან ზილს შეხვდება.

10-12 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლებისათვის თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც ჩაებმებიან.

ჯერჯერობით, საქართველოს ნაკრების წევრებს ლას ვეგასში ოლიმპიური ლიცენზიები არ მოუპოვებიათ. ლიცენზიის ასაღებად მინიმუმ ექვსეულში მოხვედრაა საჭირო. რაც შეეხება ლაშა გობაძის მესამე ადგილს, გობაძემ ბრინჯაოს მედალი არაოლიმპიურ წონაში – 80 კგ-ში მოიპოვა.

## შედეგები

### 8 სექტემბერი
**ფეხბურთი**
**ეჩ-2016. შესარჩევი ეტაპი**
**ევროპა**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-ლუქსემბურგი | 2:0 |
| ინგლისი-შვეიცარია | 2:0 |
| მაკედონია-ესპანეთი | 0:1 |
| ლიხტენშტეინი-რუსეთი | 0:7 |
| ლიტვა-სან მარინო | 2:1 |
| მოლდოვა-ჩერნოგორია | 0:2 |
| სლოვაკეთი-უკრაინა | 0:0 |
| სლოვენია-ესტონეთი | 1:0 |
| შვედეთი-ავსტრია | 1:4 |

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**
**აზია**

| | |
|---|---|
| გუამი-ომანი | 0:0 |
| ბანგლადეში-იორდანია | 0:4 |
| ჩინეთის ტაიპეი-ვიეტნამი | 1:2 |
| კამბოჯა-სირია | 0:6 |
| მალდივი-ჩინეთი | 0:3 |
| ჰონ კონგი-კატარი | 2:3 |
| ლაოსი-კუვეიტი | 0:2 |
| ფილიპინები-უზბეკეთი | 1:5 |
| ტაილანდი-ერაყი | 2:2 |
| ავღანეთი-იაპონია | 0:6 |
| ტაჯიკეთი-ავსტრალია | 0:3 |
| ინდოეთი-ირანი | 0:3 |
| ლიბანი-ს.კორეა | 0:3 |
| პალესტინა-ემირატები | 0:0 |
| იემენი-ბაჰრეინი | 0:4 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ეკვადორი-ჰონდურასი | 2:0 |
| ვენესუელა-პანამა | 1:1 |
| კოლუმბია-პერუ | 1:1 |
| აშშ-ბრაზილია | 1:4 |
| კოსტა რიკა-ურუგვაი | 1:0 |
| არგენტინა-მექსიკა | 2:2 |

**ეჩ-2017. შესარჩევი მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-გერმანია | 0:3 |
| ანდორა-ირლანდია | 0:2 |
| სომხეთი-რუმინეთი | 2:3 |
| იტალია-სლოვენია | 1:0 |
| ლატვია-ჩეხეთი | 1:1 |
| ავსტრია-რუსეთი | 4:3 |
| ფინეთი-ფარერები | 3:0 |
| ალბანეთი-პორტუგალია | 1:6 |
| ბულგარეთი-ლუქსემბურგი | 3:0 |
| ისლანდია-ჩრ.ირლანდია | 1:1 |
| ჩერნოგორია-მალტა | 0:0 |
| სერბეთი-ლიტვა | 5:0 |
| თურქეთი-ჰოლანდია | 0:1 |

### 8 სექტემბერი
**კალათბურთი**
**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| სლოვენია-ჰოლანდია | 81:74 |
| საბერძნეთი-საქართველო | 79:68 |
| ხორვატია-მაკედონია | 73:55 |
| სერბეთი-ისლანდია | 93:64 |
| გერმანია-თურქეთი | 75:80 |
| ესპანეთი-იტალია | 98:105 |

### 9 სექტემბერი
**ჩოგბურთი**
**ამერიკის ღია პირველობა**
**კაცები**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ლოპესი | 6:1;3:6;6:3;7:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ს.უილიამსი-ვ.უილიამსი | 6:2;1:6;6:3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**
599-90-54-78, 234-02-38
ქალაქი

# ბულგარეთმა რუსული თვითმფრინავები არ გაატარა



ბულგარეთმა რუსეთს სირიაში საჰაერო კორიდორის გახსნაზე უარი უთხრა. ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა. მართალია რუსეთი ირწმუნებოდა, თითქოს სირიაში ჰუმანიტარული ტვირთი გადაჰქონდა, მაგრამ არსებობდა ფრიად საფუძვლიანი ეჭვი, რომ სინამდვილეში კრემლს ასადის რეჟიმისათვის იარაღის მიწოდება სურდა.

— ბულგარეთი ნატოს წევრია, ნატო-რუსეთის დაპირისპირებაც მკვეთრად გაიზარდა, — იტყობინება ბი-ბი-სი.

რუსეთმა სერიოზული მარცხი განიცადა, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ კრემლი სირიაში იარაღის გადატანაზე უარს იტყვის. მას გააჩნია რამდენიმე ალტერნატიული მარშრუტი, ერთი კავკასიის, მეორე ირანის გავლით.

# მარინ ლე პენი გერმანიის ხელისუფლებას აკრიტიკებს



გერმანია მზადაა უახლოესი ორი წლის მანძილზე 500 000-მდე სირიელი ლტოლვილი მიიღოს. ამის თაობაზე ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა ზიგმარ გაბრიელმა განაცხადა, რამაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. გერმანის ხელისუფლების პოზიცია ყველაზე მკაცრად ფრანგი ულტრა მემარჯვენეების ლიდერმა მარინ ლე-პენმა შეაფასა:

— გერმანელებმა სირიელ ლტოლვილების სახით მუქთი მუშახელი ანუ მონები იშოვეს! — თქვა მან.

# რუსები უკრაინის პრემიერს წამებას აბრალებენ



რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტის წარმომადგენელმა ბისტრიკინმა უკრაინის პრემიერი იაცენიუკი ჩეჩენ ბოევიკებთან კავშირში დაადანაშაულა. ბისტრიკინმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის ომის დროს იაცენიუკი ჩეჩნების მხარეს იბრძოდა და რუსი ტყვეების წამებასა თუ ხვრეტებში მონაწილეობდა.

— ჩვენ ამის დამადასტურებელი ფაქტები გაგვაჩნია, — ღნიშნა ბისტრიკინმა.

იაცენიუკის პრეს-სამსახურმა ამ აბსურდულ ბრალდებაზე უმალ გააკეთა რეაგირება. მასში ნათქვამია, რომ ბისტრიკინმა ფსიქიატრს უნდა მიმართოს.

— ბატონ ბისტრიკინს ვურჩევთ, ფსიქიატრს მიმართოს. როგორც ჩანს, ის სერიოზულადაა ავად და თუკი ექიმს დაუყოვნებლივ არ მიმართა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდება, — ნათქვამია განცხადებაში.

ექსპერტები თავის მხრივ ვარაუდობენ, რომ ბისტრიკინის აბსურდული განცხადება შემთხვევითი არაა და ეს პირადად პუტინთანაა შეთანხმებული. ამით კრემლმა პოროშენკოს აგრძნობინა, რომ იაცენიუკთან საქმის დაჭერას არ აპირებს. მოსკოვისათვის ასევე მიუღებელია მიხეილ სააკაშვილის ფიგურაც, რომელმაც შესაძლოა უახლოეს მომავალში იაცენიუკი შეცვალოს.

— რუსეთს სურს უკრაინის პრემიერის პოსტზე ე.წ. „ზომიერი ფიგურა“ იხილოს. ასეთად პუტინს ოპოზიციური ბლოკის ლიდერი ბოიკო მიაჩნია, — აცხადებს უკრაინელი ექსპერტი ტარანი.

# ტაჯიკეთის პროკურატურამ ყოფილი თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ საქმე აღძრა



ტაჯიკეთის პროკურატურამ ექს-თავდაცვის მინისტრ ნაზარ ზოდას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ყოფილ მინისტრს სამშობლოს ღალატსა და ტერორიზმში ედება ბრალი.

— ამჟამად ყოფილი მინისტრის 14 მომხრეა დაკავებული, — იტყობინება „დოიჩე ველე“.

თავად ნაზარ ზოდა მთებში იმალება. „დოიჩე ველეს“ ცნობოთ მას 1000-მდე კარგად შეიარაღებული ბოევიკი ახლავს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ევროკავშირი საქართველოს მართლმსაჯულებით დაინტერესდა

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისის წევრებს შეხვდა.

მინისტრის გარდა შეხვედრას იუსტიციის მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე ბარამიძე და გოჩა ლორთქიფანიძე ესწრებოდნენ.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიამ საქართველოში მუშაობა 2005 წელს დაასრულა. დღევანდელი შეხვედრა კი მიზნად იმ პროგრესის გაცნობას ისახავდა, რომელსაც საქართველომ მართლმსაჯულების სისტემის სფეროში 2012 წლიდან დღემდე მიაღწია.

სტუმრები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მდგომარეობით და ბოლო წლებში ქვეყანაში ამ კუთხით განხორციელებული ცვლილებებით დაინტერესდნენ.

მისიის წევრებმა საქართველოში მართლმსაჯულების სფეროში გატარებული რეფორმის სამივე ეტაპის შესახებ მიიღეს ინფორმაცია; გაეცნენ, თუ რა გაკეთდა ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლოს, მხარეთა თანასწორობისა და მსხვერპლის უფლებებისთვის, ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებების განმტკიცებისთვის, ბავშვთა უფლებების დაცვისთვის და სხვ.





როგორც თეა წულუკიანმა განაცხადა, შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ წელს ან გაისად შემაჯამებელ კონფერენციას მოაწყობენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო უფლებებისა და სამართლებრივ სფეროში საქართველო 10 წლის წინ და როგორია დღეს.

**თეა წულუკიანი:**

— იუსტიციის სამინისტროში ვუმასპინძლეთ ევროპელი ექსპერტების იმ ჯგუფს, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩამოსული იყო საქართველოში, რათა ევროკავშირის ქოლგის ქვეშ საქართველოს დახმარებოდა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სამართლებრივი რეფორმების შექმნასა და გატარებაში.

სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, ეს მისია დიდხანს ვერ გაგრძელდა, მაგრამ ეს ექსპერტები საქართველოს ერთგულები რჩებიან.

მათთვის, როგორც თქვეს, არ არის სულერთი, როგორ ვითარდება სამართლებრივი სისტემა ჩვენს ქვეყანაში და რაკი ნახეს, რომ შეიძლებოდა ამ დისკუსიის განახლება, ჩამოვიდნენ და გაგვიზიარეს თავიანთი მოსაზრებები იმ რეფორმებზე, რაც ჩვენ სამი წლის განმავლობაში აქტიურად მიგვყავს.

ჩვენ შევთანხმდით, რომ წელს ან გაისად შემაჯამებელ კონფერენციას მოვაწყობთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო უფლებების სფეროში, სამართლებრივ სფეროში საქართველო 10 წლის წინ და როგორია დღეს.

ნიუსპრესი

# მოსამართლემ უგულავას ადვოკატი დააჯარიმა

მოსამართლემ გუშინ, თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას ადვოკატი გიორგი კონდახიშვილი 500 ლარით დააჯარიმა.



მიზეზი სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობაა. გიორგი კონდახიშვილმა სასამართლოს განცხადება გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც, ბათუმში ხვალ დაკრძალვაზე უნდა იყოს.

მოსამართლემ კონდახიშვილის ქმედებებს „მასხარაობა“ უწოდა.

— ეს არასერიოზული და უპასუხისმგებლო განცხადებაა. 10 სექტემბერს თუ ბათუმში უნდა იყოს, 9-ში რატომ ვერ ახერხებს სასამართლო სხდომაზე გამოსვლას. ეს არის მასხარაობა და არასერიოზული დამოკიდებულება. მიმაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ შეგნებულად ხდება პროცესების გაჭიანურება. ეს სასამართლოს მასხრად აგდებაა და არ ვაპირებ, ვინმეს მასხრად ავაგდებინო თავი, — განაცხადა მოსამართლემ.

ბოლო რამდენიმე პროცესზე ადვოკატი გიორგი კონდახაშვილი სხვადასხვა მიზეზით არ ესწრება სასამართლო პროცესებს.

ტელეიმედისა და რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმეზე გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ შემდეგი სასამართლო სხდომა 11 სექტემბერს გაიმართება.

ნიუსპრესი

# სომხეთის მოქალაქეებს არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები შემოჰქონდათ

საბაჟო გამშვები პუნქტების ტერიტორიაზე მებაჟე ოფიცრებმა ავტობუსისა და ავტომანქანის დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

კერძოდ კი, „ყაზბეგის“ კონტროლის ზონაში, მებაჟე ოფიცრებმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოსული სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ს.ვ.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტობუსის დათვალიერების შედეგად, სალონში არსებულ სათავსოში, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. ნივთების საერთო წონამ 163,7 გრამი, ხოლო ღირებულებამ 16.272,4 ლარი შეადგინა.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ანალოგიური ფაქტი საბაჟო გამშვებ პუნქტ „სადახლო საავტომობილოს“ ტერიტორიაზეც გამოავლინეს. სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ა.-ის კუთვნილი ავტომანქანის რისკის პროფილის (შემთხვევითი შერჩევა) საფუძველზე დათვალიერების შედეგად, საბარგულში და უკანა სავარძელთან არსებულ სათავსოებში მებაჟე ოფიცრებმა 20.782,98 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

ორივე საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ნიუსპრესი

## fcnhjghjuyjpb

10 სექტემბრისათვის



**ვერძი** — სიცრუე და ამაო დაპირება ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. რეალობა საღად შეაფასეთ. ოცნების კოშკებს ნუ ააგებთ. **კურო** — კრიტიკული დღეა. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. თქვენთვის არასასურველი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **ტყუპები** — ახალი ნაცნობობა სასურველი არ არის. ფრთხილად იყავით. დიდია ღალატის, მოტყუების ალბათობა. გაუფრთხილდით სახლში არსებულ ნივთებს. **კირჩხიბი** — დღეს, შესაძლოა, საინტერესო წინადადებით მოგმართონ. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, ყველაფერი კარგად გააანალიზეთ. **ლომი** — ერიდეთ კონფლიქტს ახლობლებთან. სიამაყე დაივიწყეთ. იყავით უფრო ლმობიერი გარშემომყოფების მიმართ. **ქალწული** — ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობას. განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ მათთან საქმიანი ურთიერთობისას. იმედგაცრუებული დარჩებით. **სასწორი** — მოვლენები რეალურად შეაფასეთ. შესაძლოა, პრობლემები, რომლებსაც ადრე უმნიშვნელოდ მიიჩნევდით, დღეს მნიშვნელოვანი გახდეს. **ღრიანკალი** — ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება არ ღირს. გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღეთ, რაც ყველაფერს გულმოდგინედ აწონ-დაწონით. **მშვილდოსანი** — საოჯახო საქმეების მოგვარება თქვენგან დიდ ენერგიას მოითხოვს. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **თხის რქა** — ყოველგვარი შეხვედრა, საქმიანიც და პირადულიც, მომდევნო კვირისთვის გადადეთ. კარგი იქნება ფიზიკური ვარჯიში, მოგზაურობა. **მერწყული** — არ გადაიღალოთ. თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ყველაფერი მალე გამოსწორდება. **თევზები** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ.

უბცეჳeტ,ს ,ტცყბტჳ ცქტც=

## hჳxცeჯჳcბ ,





**შვეულად:** 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 5. ძრავიანი ველოსიპედი; 9. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 11. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დარგი; 12. აკაკი წერეთლის ლექსი; 14. ავტონომიური ოლქი ბასკეთში; 18. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 19. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში.

**თარაზულად:** 4. კურორტი საფრანგეთში, სადაც ჩატარდა პირველი ზამთრის ოლიმპიადა 1924 წელს; 5. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 6. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 7. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 8. ნაკურთხი წყალი; 10. ჩინური ფინიკი; 13. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 15. ძველებური ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შვედეთში; 17. მდინარის ქვიანი ნაპირი; 20. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 22. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 23. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ობყფ ყჯვტპიბ უფვჯმდტ.ყტ,ეკბ რპჯცდჯპლტ,ბც გფცე[ტ,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რუბენსი; 2. ბროსნანი; 3. ალგებრა; 5. საქსონია; 7. ჭიანური; 9. იაკიტორია; 13. ღანძილი; 15. იგუასუ; 16. კოპოლა; 18. წვიმა.

**თარაზულად:** 4. კუროსავა; 6. აბრსკილი; 8. მელიქიშვილი; 10. მენზულა; 11. კარე; 12. ბრუნეი; 14. დიეტა; 17. ლონჟა; 19. კუკია; 20. პოლონეზი; 21. აუდი; 22. ბურჭულაძე; 23. ფაიფური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თევზაძე; 2. ტაქსაფონი; 3. ძაძამიძე; 4. „დამპერი“; 5. ყორანი; 9. მაიამი; 11. დიორამა; 12. კორომი; 14. ვექსილი; 18. ერაყი; 19. ცაიში.

**თარაზულად:** 4. დაგერი; 5. ყაბალახი; 6. გაუჩო; 7. ამნეზია; 8. ასკერი; 10. ქანდა; 13. ძღვენი; 15. „ფრესკო“; 16. ძერა; 17. ტირე; 20. სედანი; 21. „ნიკორა“; 22. მაყვალი; 23. შეკელი.



# რა არის ცისტიტი



შარდის ბუშტის ანთებით პროცესს თავის დროზე თუ არ მივაქციეთ ყურადღება, შესაძლოა, მძიმე გართულებებთან მოგვიხდეს ბრძოლა, რაც არასასიამოვნოსთან ერთად, საკმაოდ რთული პროცესია.

ცისტიტის რა და რა ფორმები არსებობს, რა კლინიკური ნიშნებით ხასიათდება კლიმაქტერული და ქრონიკული ცისტიტი (ურეთრიტი) და როგორია მათთან ბრძოლის გზები.

ცისტიტი შარდის ბუშტის უხშირეს დაავადებას წარმოადგენს მწვავე ანთებითი პროცესი, განპირობებული, უპირატესად, ბაქტერიული ინფექციით. აღნიშნულ პროცესს, როგორც წესი, იწვევენ გრამუარყოფითი და იშვიათად გრამდადებითი მიკროორგანიზმები, სადაც EColi-ს წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება.

მამაკაცებთან შედარებით, ქალებში აღნიშნული დაავადების სიხშირე ბევრად მეტია. განსაკუთრებით კი იმ ქალბატონებში, რომლებიც იმყოფებიან მენოპაუზის შემდგომ პერიოდში, რაც განპირობებული უროთელიუმის (ქვემო საშარდე გზების ამომფენი ეპითელის) ატროფიით, რის გამოც, კოლიბაქტერიული ფლორა, შორისის მიდამოდან, აღმავალი გზით, სწრაფად ვრცელდება საშარდე გზებში, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქალებში ანატომიურად მოკლე საშარდე მილი.

დაქვეითებული ინფექციისადმი რეზისტენტობის პირობებში, ვითარდება ანთებითი პროცესი.

მამაკაცებში მწვავე ცისტიტი წარმოადგენს იშვიათობას და უფრო ხშირად წარმოადგენს ისეთი თანმხლები დაავადებების გამოხატულებას, როგორიცაა შარდის ბუშტის კარცინომა, შარდის ბუშტის კენჭი ან ინფრავეზიკულური ობსტრუქცია. გარდა ბაქტერიული ინფექციისა, შარდის ბუშტის ლორწოვანის მწვავე ანთება შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვა სახის მიკროორგანიზმებით, როგორიცაა: უმარტივესები, სოკოები, ვირუსები, მიკობაქტერია ან შისტოსომა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში შარდის ბუშტის კიბოს ერთ-ერთი მიზეზია. ეს განპირობებულია შარდის ბუშტის ლორწოვანის ქრონიკული ანთებით. ასევე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქიმიური და ფიზიკური ფაქტორები (მაგ. რადიაციული ცისტიტი).

## რა სიმპტომებით ხასიათდება დაავადება?

მიმდინარეობის მიხედვით, განასხვავებენ ცისტიტის მწვავე და ქრონიკულ ფორმებს.

მწვავე ცისტიტის დროს, მაკროსკოპულად აღინიშნება ლორწოვანის სისხლსავსეობა, შეშუპება და პეტექიალური სისხლჩაქცევები, მაშინ, როდესაც ქრონიკული ცისტიტი იშვიათად არის წარმოდგენილი დამახასიათებელი კლინიკური სურათით, მოიცავს შარდის ბუშტის უფრო ღრმა შრეებს და არის მიდრეკილი შარდის ბუშტის შეჭმუხნისა და მოცულობის შემცირებისაკენ. კლინიკური თვალსაზრისით, ქალთა პოპულაციაში მნიშვნელოვანია ხშირად გავრცელებული დაავადება, რომელიც გერმანულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც გაღიზიანებული შარდის ბუშტის (ან ურეთრული სინდრომის სახელწოდებით. ამ შემთხვევაში გვაქვს კლინიკური სურათი ცისტიტისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით, როგორიცაა: პოლაკიზურია (ხშირი შარდვა მცირე ულუფებით), მოშარდვის იმპერატიული სურვილი, დიზურია, შარდის ნაკადის შესუსტება, ტკივილები ბოქვენზედა ან შორისის მიდამოში. ტიპობრივი ურეთრული სინდრომის დროს რაიმე ობიექტური მონაცემი არ არსებობს.

ასაკოვან ქალბატონებში, მენოპაუზის შემდგომ პერიოდში, დგინდება ურეთრის ლორწოვანის ატროფია და საშარდე მილის ნაწილობრივი შევიწროება. ამ შემთხვევაში საუბარია ფუნქციონალური ხასიათის ჩივილებზე, განპირობებული სხვადასხვა ხასიათის ფსიქოვეგეტაციური მიზეზებით, რომლებიც გაერთიანებულია უროგენიტალური სინდრომის ქვეშ. ცხადია, ამ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს სხვა სახის ობიექტური მიზეზები, როგორიცაა: გინეკოლოგიური დაავადებები, ქლამიდიური ან ტრიქომონადული ინფექციები.

ტუბერკულოზური ცისტიტი, როგორც იზოლირებული დაავადება, იშვიათად გვხვდება. ის, როგორც წესი, არის თანმხლები თირკმლის ტუბერკულოზის და დგინდება სპეციფიკური კვლევის მეთოდებით, რაც საშუალებას იძლევა აღნიშნული პროცესის იდენტიფიკაციის.

განასხვავებენ ცისტიტის შემდეგ ფორმებს: ჰემორაგიული ცისტიტი, ფოლიკულური ცისტიტი, ფიბროულცეროზული ცისტიტი, გრანულოზური ცისტიტი, ინტერსტიციალური ცისტიტი, რადიაციული ცისტიტი (სხივური თერაპიის შემდგომ) და განგრენოზული ცისტიტი.

მწვავე ცისტიტისთვის დამახასიათებელია ხშირი შარდვა, მოშარდვის იმპერატიული სურვილი, მტკივნეული შარდვა, განსაკუთრებით შარდვის აქტის ბოლოს, წვა შარდვის დროს და შარდში სისხლის არსებობა.

## რას ნიშნავს კლიმაქტერიული ცისტიტი

კლიმაქტერული, პოსტმენოპაუზალური ქრონიკული ცისტიტი ვლინდება საშარდე გზების განმეორებითი ინფექციებით. ამის მიზეზი არის ესტროგენების ნაკლოვანება, რაც განაპირობებს შარდის ბუშტისა და საშოს ლორწოვანი გარსის ატროფიას, საშოს ნორმალური ფლორის შეცვლას. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ნაწლავური ფლორის ჩაბუდებას საშოში და მის მიგრაციას შორისიდან საშარდე გზებში საშოს გავლით. შარდის ბუშტის ანთებების ხშირ გამწვავებასა და პროცესის ქრონიზაციას მივყავართ შარდის ბუშტის ლორწოვანი გარსის დაზიანებამდე მის სრულ სიღრმეზე — მიკროწყლულები, ანთებითი პროცესის გავრცელებაზე უშუალოდ შარდის ბუშტის კუნთოვან შრეზე.

ამ დაავადებას ეწოდება მტკივნეული შარდის ბუშტის სინდრომი — ინტერსტიციული ცისტიტი, რაც ვლინდება ტკივილით შარდის ბუშტში შარდის დაგროვების დროს, ხოლო ეს აიძულებს ადამიანს მოშარდოს. ცოტა ხნით ტკივილი ნელდება და შემდეგ კვლავ იწყება და ასე ყოველ 15-20 წუთში. ამის მიზეზი არის შარდში არსებული ნივთიერებების მიერ ნერვული დაბოლოებების ქიმიური გაღიზიანება.

## რა სიმპტომებით ხასიათდება ურეთრიტი?

ქრონიკული ცისტიტი და ურეთრიტი გოგონებში (დეფლორაციული ცისტიტის შემდგომი მდგომარეობა), ქვედა საშარდე გზების მორეციდივე ინფექცია. ანტიბიოტიკოთერაპია ატარებს დროებით ეფექტს და მორიგი სქესობრივი აქტის შემდეგ მეორდება ცისტიტისა და ურეთრიტის შეტევა. ასე გრძელდება თვეები და წლები. დროთა განმავლობაში ჩნდება მუდმივი ხასიათის ტკივილი შარსადენი მილისა და შარდის ბუშტის არეში.



ცისტიტის დიაგნოსტიკის საფუძველს წარმოადგენს შარდის საერთო ანალიზი.. ასევე, მნიშვნელოვანია შარდის ბაქტერიოლოგიური კვლევის ჩატარება.

მწვავე ცისტიტის მკურნალობა გულისხმობს წოლით რეჟიმს (2-3 დღე), სითხეების ჭარბად მიღებას, ანტიბაქტერიულ თერაპიას და ჩვენების მიხედვით, სპაზმოლიზურსა და ანალგეზიურ საშუალებებს.

პროფილაქტიკისთვის მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული ორგანიზმის გადაციება და იმუნოდეპრესია. როგორც წესი, მწვავე ცისტიტების მკურნალობის პროგნოზი კეთილსაიმედოა. ქრონიკული ცისტიტების მკურნალობა მხოლოდ სიმპტომურია. აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში, საჭიროა ექიმის მუდმივი ზედამხედველობა, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი გართულებები და პაციენტმაც უფრო მშვიდად იგრძნოს თავი.

ბუნება ცისტიტის მკურნალობაშიც დაგეხმარებათ. ცისტიტის სამკურნალოდ ის ბალახები გამოდგება, რომელთაც ანტიბაქტერიული და შარდმდენი თვისებები აქვთ.

1. სიმინდის ულვაში ან ალუბლის ღეროს ნახარში მიიღეთ როგორც ჩაი. გამოვნებისათვის ნაყენს შეგძლიათ თაფლი დაუმატოთ. მკურნალობა რამდენიმე დღეს გრძელდება.

2. 200 გრ ნიახურის ძირები ჩაყარეთ 1ლ წყალში და ადუღეთ 2-3 წთ. გააცივეთ, გადაწურეთ და მიღებული ნაყენი დალიეთ სასურველ შედეგამდე დღეში სამჯერ.

3. ერთ ჩკ დაქუცმაცებულ სვიის ნაყოფს დაასხით 1 ჩჭ ადუღებული წყალი, გააცივეთ, გადაწურეთ და დალიეთ საღამოობით. ნაყენი კარგად შველის თავის ტკივილსაც.

4. ორ-სამ ჩკ წვრილად დაჭრილ ნედლ მატიტელას დაასხით 2 ჩჭ მდუღარე წყალი და გააცივეთ. სვით მიღებული ნაყენი გამოჯანმრთელებამდე. წამლის მიღება მიზანშეწონილია შარდის ბუშტში ქვიშისა და კენჭების არსებობის შემთხვევაშიც. ასევე მკურნალობენ ბუასილს.

5. აიღეთ მინდვრის შვიტა 15 გრ, მრავალძარღვას ფოთლები — 20 გრ. 1 სკ ნარევზე დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. დააყოვნეთ შეფუთულად 1 სთ, გადაწურეთ. დალიეთ საღამოს ერთ მიღებაზე 1 ჭიქა თბილი ნაყენი.

მენიუში შტოშის წოწოქურა ან წითელი მოცვის წყალი ჩართოთ, ან ჩვეულებრივი წითელი მოცვი. შტოში შესანიშნავ იმუნომოდულატორად ითვლება, პირველი ბუნებრივი ანტიბიოტიკია. მოცვი კი საშარდე გზების ანთებითი პროცესების მკურნალობაში საუკეთესო საშუალებად ითვლება. ამ მიზნისთვის მთელი წლის განმავლობაში მოგროვებულ მოცვის ფოთლებს ინახავენ. მისი ნახარში კარგი შარდმდენია, ბაქტერიოციდული და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით გამოირჩევა.

მას ასე ამზადებენ: ერთ ჭიქა ადუღებულ წყალზე იღებენ 2 ს.კ. მოცვის ფოთოლს, ადუღებენ 5 წუთი, აგრილებენ და გაწურულს ჭამის წინ დღეში ორჯერ სვამენ. ერთ ჯერზე — ნახევარ ჭიქას. ასეთი სახით იყენებენ არა მარტო ნაყენს, არამედ ჩაისაც, რომელიც ნახევარ საათში მზადდება.

ცისტიტთან ბრძოლაში ეფექტური და დროით შემოწმებული საშუალებაა — დათვის კენკრა. მას თირკმლების სამკურნალოდაც იყენებენ. კარგი მადეზინფიცირებელი საშუალებაა. მისგან ჩაის გრილ წყალზე ამზადებენ. დგამენ დღე-ღამის განმავლობაში ან 12 საათის განმავლობაში. გამოყენებამდე ცოტა ათბობენ. გათვლა — 1-2 ჩაის კოვზი ერთ ჭიქაზე. გამოიყენება ნახარშიც.

ცისტიტი რომ არ განმეორდეს მოერიდოთ გამაღიზიანებელი და არაფიზიოლოგიური სამოსის ტარებას, არასეზონურ ტანსაცმელს, ცხარე და მარილიან საკვებს; მეტი სვათ, მოერიდოთ სიცივეს, ზედმიწევნით დაიცვათ ჰიგიენა, ამასთან დისბაქტერიოზსაც მოერიდოთ და, რა თქმა უნდა, არ უთხრათ ორგანიზმს უარი საპირფარეშოს დროულად სტუმრობაზე. გაითვალისწინეთ, რომ ავადმყოფობას არ უყვარს ისინი, ვისაც საკუთარი თავი უყვარს.

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



ანსამბლ „სუხიშვილების“ ძველი თაობის მოცეკვავეები ღრმა გულისტკივილს გამოვთქვამთ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლის, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ლეგენდარული ანსამბლის პირველი თაობის წამყვანი სოლისტის, კოლორიტული პიროვნებისა და მეგობრის, საქართველოს დამსახურებული არტისტისა და დამსახურებული ექიმის

**ილიკო თაყაიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახსა და ახლობლებს.

*გივი სურვილაძე, მიშა საგიცკი, ჯამუ გარუჩავა, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე, თამაზ კიკალიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ჯუმბერ ბერაძე, ჯემალ გეგუჩაძე*

**ემა დურუს ასული კაკუბავა-წურწუმია**



80 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც ამ ქვეყანას მოევლინა იმიტომ, რომ სიკეთე, სიყვარული და სათნოება ეთესა, ეღვაწა იმისათვის, რომ თავისი გულის ნაღვენთით სხვებისათვის გზა გაენათებინა. ეს ღვთის რჩეული ქალი, სულით ძლიერი დედა, პედაგოგიური და ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება — ემა წურწუმია-კაკუბავაა. მას ღვთისაგან ჰქონდა მომადლებული მასწავლებლის, სხვებისადმი სიხარულის მინიჭებისა და ერთგულების ნიჭი, რომელიც ბოლომდე დახარჯა სხვათა სასიკეთოდ და საფლავში აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული გამოუთქმელი დარდი ჩაიტანა. თავად ობლობაში გაზრდილს 3 შვილის უმამოდ გაზრდამ მოუწია, მაგრამ საკუთარი ტკივილი აღსაზრდელებისათვის არასდროს უგრძნობინებია. ტკბილმოქართულე, კრეატიული აზროვნების ემა მასწავლებელი არა მარტო პატარების, არამედ ყველას დამრიგებელი იყო. საგულისხმოა ის, რომ ქალბატონი ემა 1953 წლიდან 60 წლის განმავლობაში ემსახურა თავის მშობლიურ ზემო ბარღების (დევნილობაში აფხაზეთის №11 საჯარო) სკოლას და კოლექტივში პედსაბჭოს შეუცვლელი მდივნის სახელი დატოვა. მან პედაგოგის პროფესიის სიყვარული შთააგონა საკუთარ შვილებსაც, მაგრამ ორი ვაჟკაცის დაკარგვის ტკივილმა საბოლოოდ გატეხა, როგორც იტყვიან, ეს ფესვმაგარი მუხაც. წავიდა და თან წაიღო უამრავი ლამაზი, გულწრფელი ცრემლი და განმეორდა ათასობით თავის გაზრდილში, რათა უკვალოდ არ გამქრალიყო.

მისთვის საყვარელი აფხაზეთის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გრძნობს ემა კაკუბავა-წურწუმიას ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს, მაგრამ სჯერა, რომ მის ნათელ ხსოვნას სიკვდილი არ უწერია.

*აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი*

რევაზ გოგოხიას სამეგობრო დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ღვთივკურთხეული პიროვნება

**რეზო ფაჩულია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8



## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 10 სექტემბერი**

**08.00** ან/ფ "გამოიცანი" "მანონი" **09.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. **"მეცამეტე მოციქული"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **13.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **14.30** მხ/ფ **"ორი ძმა"** **16.40** "ეკონომეტრი" **17.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ **"მტირალა"** (ჯ.დეპი) **19.30** სპორტული გადაცემა **19.50** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი: **საქართველო – ხორვატია** **21.45** სპორტული გადაცემა **22.15** ქართული მოკლემეტრაჟ. მხ/ფ **22.50** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი: **ისრაელი – საფრანგეთი** **00.40** მხ/ფ **"დაივიწყე სარა მარშალი"** (მ.კუნისი) **02.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები"

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ბრინჯის მფლობელები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ინკების მარილი" **11.00** დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" **12.00** მხ/ფ **"ვიცე მეფეები"** 1 სერ. **13.35** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ჩეხეთის რესპუბლიკა" **14.00, 22.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **16.00** დ/ფ "ცხოველთა სოლამაზე" **18.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ **"აიდლვაილდი"**

**07.30** სერ. **"მერლინი"** **08.30** სერ. **"კარმა"** **09.00** სერ. **"ბოშა ქალი"** **10.00** სერ. **"გზაჯვარედინი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40, 03.30** ქრონიკა **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **13.00** კულინარიული დუელი **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **9** სერ. **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **4** სერ. **22.00** სერ. **"ჟუმონგი"** **23.30** ერთხელ საქართველოში **00.00** მხ/ფ **"დევნილი"** (ტ.ლი ჯონსი) **01.50** მხ/ფ **"ახალშობილი"** (ე.შუ) **03.40** სერ. **"ოზის ალქაჯები"** **1** სერ.

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** მარაო **00.00** ქალთა სახეები **00.30** სერ. **"გრიმი"** **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.15** დოკ.ფილმი **06.40** პატერიკი დანანებული მოწყალება **06.50** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" **07.05** ქართული ალბომი "დიტო თუმანიშვილის ოჯახი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ერთსულოვნების" სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"მოიტაცეს თამარ ქალი"** **13.15** დოკ. ფ **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.05** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის ადგილი მართმადიდებელურ დიპტიხში" **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლობედია **16.10** დოკ. ფ. "ველური ბუნება" ჰუანგის სპილოები **16.55** საღვთისმეტყველო საუბრები **17.35** თვენი "წმ. დიდმოწამე შუშანიკ დედოფალი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები-გიორგი მიქაძე **20.00** ქართული ხმებიშუახევი **20.40** ძილი ნებისა "იგავი მუხუდოს მარცვალძე, ისევ გველეშაპი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.00** სიახლენი **22.25** კარაბადინი "ეგნატე ფიფია-ქირურგი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფილ. **00.30** დოკ. ფილ. კაცხის სვეტი **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს **3.30** ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი"** 8.30 **სერიალი "სხვისი სხეული"** 10.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.30 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.00 **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** 18.30 დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" 19.00 **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "დამიბრუნე სიყვარული"** 23.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 0.30 **სერიალი "სხვისი სხეული"** 2.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"**

გჰჯუჰფვტ,ბ ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 სექტემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.3790

ევრო — 2.6540

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6584

100 რუსული რუბლი — 3.4803

## ამინდის პროგნოზი 10 სექტემბრისთვის




## კახი კავსაძეზე ჭორები ვრცელდება



მურმან ჯინორიას, გახო ბიჭიკაშვილის, ნიკა არაბიძის, რუსკა მაყაშვილისა და სხვა ცნობილი სახეების შემდეგ, ჭორი კახი კავსაძეზეც გავრცელდა. ინტერნეტში დაიდო ინფორმაცია, რომ მსახიობი 80 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

რუსთაველის თეატრის მსახიობის ზურა შარიას განცხადებით, კახი კავსაძე თავს გადასარევად გრძნობს და ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ ჭორია.

**ზურა შარია:**

— კახი კავსაძე გადასარევად გრძნობს თავს! ერთ-ერთ ვებგვერდს დეზინფორმაციის გავრცელებისათვის, თითქოს ბატონი კახი ამ დილით გულის შეტევით გარდაიცვალაო, პასუხი უნდა მოეთხოვოს!

ეკა ირემაშვილი

## საპატრიარქომ პაატა ბურჭულაძის ინიციატივა გააკრიტიკა

რამდენიმე დღის წინ საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე ზუგდიდში იმყოფებოდა, სადაც მოსახლეობას შეხვდა და მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობაზე ესაუბრა.



პაატა ბურჭულაძემ ზუგდიდელებს 21 სექტემბერს ზუგდიდის მუზეუმში დაცული ღვთისმშობლის კვართის მახათას მთაზე ჩამობრძანება შესთავაზა.

საოპერო მომღერლის ამ განცხადებაზე საპატრიარქო გაღიზიანდა და სპეციალური განცხადება გაავრცელა.

— ბატონი პაატა ბურჭულაძის მიერ ზუგდიდელებთან ახლახან გაკეთებულმა შეთავაზებამ ზუგდიდის მუზეუმში დაცული ღვთისმშობლის კვართის თბილისში, მახათას მთაზე მშენებარე ტაძარში 21 სექტემბერს ჩამობრძანების შესახებ, ამ სიწმინდესთან მიმართებაში არსებული ისედაც დაძაბული ვითარება უფრო გაამწვავა, რადგან საზოგადოების ნაწილმა ეს ნათქვამი საქართველოს საპატრიარქოსთან დააკავშირა, — ნათქვამია განცხადებაში.

საპატრიარქო აცხადებს, რომ პაატა ბურჭულაძის მიერ გახმოვანებული აზრი არის მისი იდეა. ასეთ თემებზე ეკლესიასთან შეუთანხმებლად მსჯელობა საპატრიარქოს დაუშვებლად მიაჩნია.

— ღვთისმშობლის შობის დღეს (21 სექტემბერი) ღვთისმშობლის კვართის ხობის მონასტერში გადაბრძანების საფუძველი, მართალია, არსებობს, რადგან ისტორიულად ეს სიწმინდე ხობის მონასტერში იყო დაცული, მაგრამ ბოლო წლების მოვლენებმა აჩვენა, რომ ჩვენი საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ არის, რადგან არ შეიძლება ეს პროცესი გაუგებრობის, დაძაბულობისა და დაპირისპირების ფონზე განხორციელდეს, არამედ ლიტანიობით უნდა აღესრულოს და საერთო სიყვარულითა და სიხარულით უნდა იყოს მოცული, — ნათქვამია განცხადებაში.

საპატრიარქო მიუთითებს, რომ ყველა საქმეს თავისი დრო აქვს.

— მით უმეტეს, ეს უნდა გავითვალისწინოთ ასეთ დიდ საუნჯესთან მიმართებაში. ღვთისმშობლის პერანგი ერთიანი საქართველოს ისეთივე სიმბოლოა, როგორც სვეტიცხოველში დაკრძალული უფლის კვართი. მათი მადლი კი ყველგან შეეწევა მორწმუნეთ, — ასეთია საპატრიარქოს აზრი.

ეკა ირემაშვილი

## ზურაბ სოტკილავა ბათუმში იმღერებს



საოპერო მომღერალი ზურაბ სოტკილავა სიმსივნის დამარცხების შემდეგ პირველ კონცერტს ბათუმში გამართავს. მომღერალი საქართველოს იუნესკოს მშვიდობის არტისტის, ელისო ბოლქვაძის მიერ დაარსებული ფესტივალის ფარგლებში ეწვევა.

ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი წელს მესამედ ჩატარდება, ის 10 სექტემბერს გაიხსნება და ერთი კვირის განმავლობაში მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებს გააერთიანებს.

ეკა ირემაშვილი

## ბრაზილიამ აშშ 4:1 გაანადგურა

ოთხშაბათს 9 სექტემბერს, ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა გამართა. ამჯერად, პენტაკამპეონების მეტოქე აშშ-ის ეროვნული გუნდი იყო, რომელიც ამ მატჩში მასპინძელის რანგში მოგვევლინა.



საკუთარი კედლები ვერ დაეხმარა ამერიკელებს და მათ შეხვედრა გამანადგურებელი ანგარიშით 1:4 წააგეს.

ყველაფერი მეცხრე წუთზე ჰალკმა დაიწყო, რომელიც საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა, ნეიმარმა კი დუბლის შესრულება შეძლო და მის ანგარიშზე უკვე 46 გოლია ნაკრების შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ ნეიმარი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი ბრაზილიის ნაკრების ისტორიაში, ვინც ამდენი გოლის გატანა შეძლო.

აშშ-სთან შეხვედრაში რაფინიამაც შეძლო თავის გამოჩენა, რომლისთვისაც ეს ნაკრების შემადგენლობაში პირველი გოლი იყო.

## კლაუდიო ბრავომ ტრავმა მიიღო



ბარსელონას და ჩილეს ეროვნული ნაკრების მეკარემ კლაუდიო ბრავომ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ის გამოტოვებს მომავალი ტურის შეხვედრას, რომელშიც ბარსელონა მადრიდის ატლეტიკოს ესტუმრება ვისენტე კალდერონზე.

ბრავომ მარჯვენა ფეხის კუნთი დაიზიანა.

რამდენად სერიოზულია ეს ტრავმა, მხოლოდ საფუძვლიანი გამოკვლევების შემდეგ გახდება ცნობილი.

ატლეტიკოსთან მატჩში ბარსელონას კარს მარკ ანდრე ტერ შტეგენი დაიცავს, რომლისთვისაც ეს პირველი შეხვედრა იქნება ესპანეთის ჩემპიონატში.

ატლეტიკო-ბარსელონას დაპირისპირება შაბათს, 12 სექტემბერს, გაიმართება.

## არგენტინა მექსიკასთან მარცხს გადაურჩა



არგენტინის ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა მექსიკაში ადგილობრივი გუნდის წინააღმდეგ. მექსიკის ნაკრებმა შეხვედრა ძალიან კარგად ჩაატარა და 85-ე წუთზე 2:0 ამარცხებდნენ თავიანთ მრისხანე მეტოქეს.

როგორც ჩანს, მექსიკელებმა ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და ყურადღება დაკარგეს. ბოლო 5 წუთში არგენტინამ მესის და აგუეროს წყალობით 2 გოლის გატანა შეძლო და მატჩი საბოლოოდ ფრედ 2:2 დასრულდა.

მექსიკის ნაკრებიდან თავი ხავიერ ერნანდესმა და ექტორ ერერამ გამოიჩინეს.

## იუმორი

ერთი ბავშვი მეორეს ეტრაბახება:

— მამაჩემს იმდენი ფული აქვს, რომ შეუძლია, მთელი თბილისი იყიდოს!

— მამაჩემს ვეტყვი, რომ არ მიჰყიდოს!

•••

კაცი სასწრაფოში რეკავს:

— სასწრაფოდ მოდით, ჩემმა პატარა ბიჭმა სახრახნისი გადაყლაპა.

მცირე ხანში ისევ რეკავს სასწრაფოში და ეუბნება:

— აღარ მოხვიდეთ, სხვა ვიპოვე.

•••

ბავშვი მამას ეკითხება:

— მამა, მეგობარს რომ გაუჭირდეს, ხომ უნდა დავეხმარო?

— აბა, რა, შვილო, მაგრამ შენც რაღა გაჭირვებულს უმეგობრდები?!

•••

სახლში დაბრუნებული კაცი ცოლის საყვარელს დაადგება თავზე და ეკითხება:

— შენ აქ რას აკეთებ?

— პარაშუტისტი ვარ და შემთხვევით აქ დავეშვი!

— ვაა, ეს სახლი კი არა, საოცრებაა, ამას წინათ მოვედი და კაცი ჩემს ტუალეტში ნავთობს ეძებდა...

•••

კაცი ქალს საოჯახო ალბომს ათვალიერებინებს და ეუბნება:

— ამ სურათზე ორი წლის ვარ.

— ვა, მაშინაც მელოტი იყავი?

— არა, სურათი უკუღმა გიჭირავს.

•••

ცოლი ქმარს უყვირის:

— ლუდი, ღვინო და არაყია შენი დაუძინებელი მტერი!

— მერე, რა გინდა, შე ქალო, მტრებს უბრძოლველად დავნებდე? ვერ მოგართვი!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— იცი, ნატუკა, ჯანმრთელობის სამინისტროში ვიწყებ მუშაობას.

— ვაიმეე, დავეცი! და იქ რა უნდა გააკეთო?

— რა და წესრიგი უნდა დავამყარო!

— ვაიმეე, რა მაგარია! რა თანამდებობაზე დაგნიშნეს?

— დამლაგებლად!

— ვაიმეეე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## hჳჯცჲჯჳლბ ფ

**შვეულად:** 2. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 2. კუთხე საქართველოში; 3. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 5. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 7. მგალობელი ჩიტი; 9. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 13. ახირებული სურვილი; 15. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 18. გარეული ცხოველი, აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო.

**თარაზულად:** 4. ისტორიული ქალაქი მესოპოტამიაში; 6. უბანი ქუთაისში; 8. წითელი ფერის, ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 10. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 11. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. საგანგებო წერილი, რომელიც თან ახლავს ფინანსურ ხელშეკრულებას; 14. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 17. ჩეხური ავტომობილი; 19. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 20. მძლავრი შეიარაღების მქონე, დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი; 21. ფულის ერთეული იაპონიაში; 22. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 23. ეგვიპტელი ქრისტიანები.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





ᲙᲔᲞ]Ბ ᲝᲑᲡᲢᲐᲑ .ᲓᲑᲡᲢᲐᲑ ᲘᲤᲓᲑ